# ეს ყველამ უნდა იცოდეს!

## საქართველოს კანონი უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის შესახებ

7 10




# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№81-82 (9912-9913) 2025 წლის 11 ივნისი, ოთხშაბათი


# „ოცნების“ პირობებში საქართველოს არევას ვერავინ შეძლებს!

**დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიზანი საქართველოში არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ მართვადი ქაოსის შექმნაა!..**



იხ. 5 გვ.

ვიქტორ ორბანი:



2

## რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით! ევროპა ძლიერი უნდა იყოს!



ტრამპისა და მასკის დაპირისპირებით, მარკო რუბიო ძალაუფლების ცენტრში ექცევა



# გუშინ დამეგობრდნენ, დღეს აირივნენ, რა იქნება ხვალ?!

იხ. 3 გვ.

# ოკეანეში დაკარგულები



13

საოცარი ამბავი საბჭოთა ჯარისკაცებისა, რომლებიც ამერიკელებმა გადაარჩინეს

## აკრძალავს რუსეთი სომხურ ვარდებს?

6

რა შუაშია საქართველო?

პოეტის ვედრება

## „...და მეც უნდა გავიქართველო, უნდა გავიკახეთო!..“

11



საქართველოს რესპუბლიკა — დროის პირისპირ...
№81-82. ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2025 წელი

# აშშ-ში საქართველოს ახალი ელჩი თამარ ტალიაშვილი, ევროპის საბჭოში მუდმივი წარმომადგენელი კი ხატია წილოსანი ეყოლება



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილს აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციაზე – თამარ ტალიაშვილის, ხოლო ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოზიციაზე დასანიშნად ხატია წილოსანის კანდიდატურები წარუდგინა.**

**თამარ ტალიაშვილს** აქვს მრავალწლიანი გამოცდილება დიპლომატიურ სამსახურში, საჯარო სექტორსა და აკადემიურ საქმიანობაში. იგი 2022 წლიდან დღემდე იკავებდა ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის პოზიციას. იგი ასევე მუშაობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, ხოლო 2018-2020 წლებში იყო ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა და რეგიონთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

**თამარ ტალიაშვილი** სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ასევე იყო განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

იგი ასევე მუშაობდა თბილისის საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე, აგრეთვე იყო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. მას მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

* * *

**ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ხატია წილოსანი იქნება. ხატია წილოსანი 2019-2020 წლებში იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.**

იგი ასევე მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში წამყვან პოზიციებზე. 2020-2024 წლებში ხატია წილოსანი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მას ასევე აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.



# ირაკლი კობახიძე — იტალიაში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გუშინ იტალიას სტუმრობდა. გუშინვე მთავრობის მეთაურმა მილანში საქართველოს გენერალური საკონსულოს ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.**

პრემიერ-მინისტრი ასევე დაესწრო ოფიციალურ მიღებას, რომელიც მილანში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინაუგურაციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გაიმართა.

**ირაკლი კობახიძე მილანში დელეგაციასთან ერთად იმყოფება, რომლის შემადგენლობაში პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.**

# დღეს ბუდაპეშტში საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორისი სამიტი გაიმართება



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე 11-12 ივნისს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთს ეწვევა,** – ინფორმაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ავრცელებს.

**„11 ივნისს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის სასახლეში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. ქართველ კოლეგას უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლებს. ორმხრივ ფორმატში მოლაპარაკებები შედგება ორი ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წევრებს შორის.**

**ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ბუდაპეშტში საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორისი კომისიის მეორე სხდომა გაიმართება. გაფორმდება შეთანხმებები სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, კულტურისა და ინოვაციების, ასევე სპორტის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მთავრობათაშორისი კომისიის სხდომის შემდეგ დაგეგმილია ირაკლი კობახიძის და ვიქტორ ორბანის ერთობლივი პრესკონფერენცია.**

**უნგრეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვედრებს გამართავს უნგრეთის პრეზიდენტ ტამაშ შუიოკთან და უნგრეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერ ლასლო კოვერთან“,** – აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

# უკონტროლო მიგრაციის უმძიმესი რისკები!




**– ის ფაქტი, რომ უცხოელები საქართველოში მონაწილეობდნენ ძალადობრივ აქტებში, პარლამენტზე თავდასხმის, დაწვის მცდელობებში, ეს თავისთავად აჩვენებს, რა ახალი რისკები შეიძლება ჰქონდეს უკონტროლო მიგრაციას“,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ის, ვინც არ ემორჩილება სხვადასხვა პირობებს, საქართველოში არაფერი ესაქმება.

**„სტატისტიკური მონაცემებიც იყო გაჟღერებული, რომ არიან მიგრანტები, რომლებიც ნებართვის გარეშე იმყოფებიან საქართველოში. არის სხვადასხვა ტექნიკური, ადმინისტრაციული ხარვეზები, რომელიც ამის შესაძლებლობას იძლევა და მნიშვნელოვანი არის, რომ ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავრობას შესაძლებლობა, რომ ის, ვინც არის წესების დარღვევით საქართველოში, ის, ვინც არ ემორჩილება სხვადასხვა პირობებს, მათ შორის დასაქმებასთან დაკავშირებით, შესაბამისად არღვევს საქართველოში ყოფნის ნებართვის პირობებს, მას რა თქმა უნდა საქართველოში არაფერი ესაქმება. შესაბამისად ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მალე აღმოფხვრას ასეთი მდგომარეობა.**

**თავად ის ფაქტი, რომ უცხოელები საქართველოში მონაწილეობდნენ ძალადობრივ აქტებში, პარლამენტზე თავდასხმის, დაწვის მცდელობებში, ეს თავისთავად აჩვენებს, რა ახალი რისკები შეიძლება გქონდეს უკონტროლო მიგრაციას. საქართველოში ყველას მივესალმებით, იქნება ეს ტურისტი, იქნება ეს პროფესიით ჩამოსული ადამიანი, რომელმაც შეიძლება ჩვენ საზოგადოებას და ეკონომიკას შემატოს, ხოლო, ვინც საქართველოში ჩამოდის ასარევად, ჩამოდის აქ პოლიტიკის საწარმოებლად, ამისთვის არ არის განსაზღვრული საქართველოში ყოფნის პირობები“,** – აცხადებს **პაპუაშვილი.**

## შალვა პაპუაშვილი:

# ექსტრემიზმს ერთი სახე აქვს ლოს ანჯელესშიც, ბერლინშიც, პარიზშიც და თბილისშიც!

## — ნიღაბი ერთნაირად მალავს მოძალადეების სახეს, „მოლოტოვის კოქტეილი“ ერთნაირად წვავს პოლიციელებს!



– ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** „ფეისბუქის“ გვერდზე წერს.

**„ძალადობასთან და ექსტრემიზმთან ბრძოლა, მისგან გამიჯვნა ევროპული ღირებულების გარდა, ცივილიზებულობის ნიშანიცაა“.**

**„სახელმწიფო არსებობს იმისთვის, რომ მოქალაქეები, ხალხი, ადამიანები მათი უფლებების, ქონების, ღირსების დამრღვევი მოძალადეებისგან დაიცვას. როდესაც ძალადობის აღმკვეთ პოლიციას ან სასამართლოს ებრძვი, ამით ძალადობის მხარეს დგები. ძალადობისგან გამიჯვნა ის მინიმუმია, რომელიც ცივილიზებულმა საზოგადოებამ უნდა შეძლოს, თუმცა, ნაცვლად გამიჯვნისა, ვხედავთ, რომ ბრიუსელი და ზოგიერთი ევროპული მთავრობის წარმომადგენელი მხარს უჭერს, აქეზებს და აფინანსებს ექსტრემიზმს საქართველოში. სიმართლე მხოლოდ მაშინ ვლინდება, როდესაც ექსტრემიზმის დამცველებს საკუთარ ქვეყანაში უხდებათ ძალადობაზე რეაგირება“,** – წერს **შალვა პაპუაშვილი.**

# რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით, ევროპა ძლიერი უნდა იყოს!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ რუსებს „მხოლოდ ძალის ენა ესმით“, ხოლო ევროპა ამჟამად სუსტ მდგომარეობაში იმყოფება,** – ამის შესახებ მან ფრანგულ ტელეარხ LCI-სთან ინტერვიუში განაცხადა.

**„მე ვფიქრობ, რომ რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით და ევროპა ძლიერი უნდა იყოს“** – თქვა მან და ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებები ევროპამ ძლიერი პოზიციიდან უნდა წარმართოს. ორბანმა აღნიშნა, რომ ევროპა ამჟამად სუსტია და ამიტომ მას აშშ-ის დახმარება სჭირდება. უნგრეთის პრემიერმინისტრი დარწმუნებულია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპა უნდა გაძლიერდეს.

**„რუსეთთან სტრატეგიული შეთანხმება საჭიროა, მაგრამ ამას მხოლოდ ძლიერი ევროპა შეძლებს“.**

# ტრამპისა და მასკის დაპირისპირებით, მარკო რუბიო ძალაუფლების ცენტრში ექცევა



## რა არის რეალურად პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ილონ მასკის დაპირისპირების მიზეზი — კანონპროექტის გამო დაწყებული დაპირისპირება თუ სახელისუფლებო ჯგუფებს შორის გავლენების გადანაწილების გამო ბრძოლა?




# გუშინ დამეგობრდნენ, დღეს აირივნენ, რა იქნება ხვალ?!

ფილოსოფოს **ზაზა შათირიშვილის** ვერსიის მიხედვით, ზედაპირზე სულ სხვა რამ ჩანს, თუმცა მის ქვემოთ რეალურად რადიკალურად განსხვავებული პროცესები მიმდინარეობს – კონფლიქტი, რომლის უკან „დიფ სთეითის“ კვალი იკვეთება.

**„დიფ სთეითი“ განსაკუთრებით აქტიურ ქმედებებზეა გადასული. სწორედ ამ დიდი გეგმის მცირე ნაწილია ტრამპისა და მასკის დაპირისპირება, რომელშიც საზოგადოებას უნდა დარჩეს ერთადერთი განცდა – მასკი არის მართალი, ხოლო მისი იდეები – ჭეშმარიტი“,** – ამბობს **ზაზა შათირიშვილი.**

ანალიტიკოსი **გიორგი ახვლედიანი** კი for.ge-თან კიდევ ერთ ვერსიაზე საუბრობს, კერძოდ, მასკისა და ტრამპის კონფლიქტით ახლა ყველაზე მეტად, შესაძლოა, სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო სარგებლობს. მისი აზრით, თუ ვინმე შეიძლება „დიფ სთეითის“ მხრიდან დასაყრდენ ფიგურად განიხილებოდეს, ეს მარკო რუბიოა.

ახვლედიანის ვერსიას ის გარემოებაც ამყარებს, რომ რუბიო თეთრ სახლში ყველაზე გავლენიანი მაღალჩინოსანია, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მაღალი თანამდებობა უკავია. ის იკავებს თანამდებობებს როგორც ადმინისტრაციაში, ასევე სენატში.

რუბიო სახელმწიფო მდივნად 2025 წლის 21 იანვარს დაინიშნა.

2025 წლის 1 მაისიდან ის გახდა ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი. ასევეა ის მოქმედი USAID-ის ხელმძღვანელიც და ამ თანამდებობაზე თებერვალში დაინიშნა. ამ ფონზე დონალდ ტრამპისა და ილონ მასკის დაპირისპირება ახალ მასშტაბებს იძენს. გამოცემა Rolling Stone-ის ინფორმაციით, თეთრი სახლის ადმინისტრაციიდან მაღალჩინოსნებს უკავშირდებიან და სთხოვენ, დააფიქსირონ, ვის მხარეს დგანან.

**„ისინი უკვე დაუკავშირდნენ რამდენიმე მაღალჩინოსანს, მათ შორის – პარტიის მსხვილ შემომწირველებს და სთხოვეს აირჩიონ, ვის მხარეს დგანან ამ მელოდრამაში. ისინი მასკის მეგობრების გადაბირებას ცდილობენ“,** – ნათქვამია სტატიაში.

ყველაზე დიდი მოკავშირეები ახლა, შესაძლოა, ყველაზე დიდ მტრებად იქცნენ – **დონალდ ტრამპი ილონ მასკის წინააღმდეგ ყველაზე გავლენიან, ყველაზე მდიდარს უპირისპირდება.** ამერიკის პრეზიდენტი იმედგაცრუებულია, მისი უკვე ყოფილი მრჩეველი და „ტესლას“ დამფუძნებელი კი ხმამაღლა ამბობს: **„რომ არა ის, ტრამპი არჩევნებს წააგებდა“.**

პოლიტიკურ თემებზე დაწყებული უთანხმოება მალევე პირად საკითხებზე გადავიდა და გაჟღერდა საკმაოდ მძიმე ბრალდებები. ილონ მასკმა უკან დასახევი გზა მოიჭრა და პირდაპირ განაცხადა, რომ დონალდ ტრამპის სახელი ტრეფიკინგსა და სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებული ამერიკელი ფინანსისტის ჯეფრი ეპშტეინის საქმეში ფიგურირებს.

სადამდე მივა დაპირისპირება ჯერ არავინ იცის, თუმცა შედეგები უკვე სახეზეა – „ტესლას“ აქციები 15%-ით გაუფასურდა და კომპანიამ დაახლოებით 150 მილიარდი დოლარი დაკარგა, რაც ელექტრომობილების მწარმოებლის ისტორიაში ყველაზე დიდი ვარდნაა.

მედიაში ვარაუდობდნენ, რომ თითქოს ტრამპსა და მასკს პარასკევს უნდა ესაუბრათ, თუმცა ეს კომუნიკაცია არ შედგა.

რაც შეეხება მათ დაპირისპირების მიზეზებს, ერთ-ერთი ვერსიით, ეს არის კანონპროექტი, რომელსაც „დიდი და ლამაზი კანონპროექტი“ ჰქვია.

5 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში, გერმანიის კანცლერ ფრიდრიხ მერცთან შეხვედრისას, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ილონ მასკით იმედგაცრუებულია – მისი მხრიდან საბიუჯეტო კანონპროექტის კრიტიკის გამო.

მასკი ტრამპის „დიდ და ლამაზ კანონპროექტს“ იმ მოტივით აკრიტიკებს, რომ მისი ამოქმედება საბიუჯეტო დეფიციტს გაზრდის. 5 ივნისს პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ მასკის უკმაყოფილების რეალური მიზეზი ელექტრომობილებისთვის საგადასახადო შეღავათების შემცირებაა.

ტელეკომპანია CNN-ის წყაროთა ცნობით, საჯარო სივრცეში ტრამპისა და მასკის დაპირისპირების შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენლები შიდა, პირადი კომუნიკაციით ცდილობდნენ სიტუაციის განეიტრალებას, თუმცა „ეპშტეინის ფაილების“ შესახებ მასკის ბრალდების შემდეგ გამოსავლის ძიება გართულდა.

ანალიტიკოსი **გიორგი ახვლედიანი for.ge**-თან მიიჩნევს, რომ ილონ მასკისა და დონალდ ტრამპის დაპირისპირების გამოყენებას, რა თქმა უნდა, დემოკრატები შეეცდებიან და არც ის არის გამორიცხული, რომ ამ კონფლიქტით სარგებლობა „დიფ სთეითსაც“ სურს. თუმცა ახვლედიანი მიიჩნევს, რომ, თუ ილონ მასკი პარტიას შექმნის, ის კიდევ უფრო კონსერვატული იქნება, ვიდრე ტრამპი და მისი გუნდია.

**„მასკი იმაზე ულტრამემარჯვენეა, ვიდრე ტრამპი. ვნახეთ, რომ მან საპრეზიდენტო იდეალურ კანდიდატად ჯეი დი ვენსი მიიჩნია და მხარი ღიად დაუჭირა. ამიტომ მცდელობა იმისა, რომ ლიბერალურმა ფლანგმა მასკი საკუთარ მოკავშირედ წარმოაჩინოს, ძალიან დიდი შეცდომაა. ის მათ ფალავნად ვერ გამოდგება, რადგან მასკის ცხოვრებისეული რეალობა და მსოფლმხედველობა რადიკალურად განსხვავდება ლიბერალებისგან.**

**ამიტომ მათი მცდელობა ვერ იქნება რეალიზებული. ამ კონფლიქტით კი ყველაზე მეტად სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო სარგებლობს. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ დღეს თუ ვინმე თეთრ სახლში ტრამპის პოლიტიკას საფრთხეს უქმნის, ეს მარკო რუბიოა. „დიფ სთეითი“ თუ ოლიგარქიული კლანია, რომელიც კულუარულად ცდილობს ამერიკის ხელისუფლების მართვას – ეს ადამიანები ყველაზე მეტად მარკო რუბიოს აკონტროლებენ და მასზე დიდი გავლენა აქვთ“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

ახვლედიანის პოზიციით, რუბიო არის ადამიანი, რომელიც შესაძლოა „დიფ სთეითის“ პოლიტიკის დასაყრდენი ძალა იყოს.

**„გავიხსენოთ ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი USAID-თან დაკავშირებით, როცა ვნახეთ, რომ მასკმა, რომელმაც ეს სისტემა სრულად დაანგრია, რუბიომ ის პრაქტიკულად გადაარჩინა. მართალია, იმ სისტემით ვეღარ ფუნქციონირებს, მაგრამ მისი შენარჩუნება რუბიომ მაინც შეძლო.**

**მასკი, რომელიც ამბობდა, რომ ამ ორგანიზაციისთვის ერთი დოლარის მიცემაც კი დამღუპველია, რუბიომ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ორგანიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში გადასულიყო. ეს იყო ზუსტად „დიფ სთეითის“ და ოლიგარქიული მმართველობის ინტერესი. ამიტომ ეს არის ადამიანი, რომელიც ტრამპისთვის მასკზე დიდი პრობლემა გახდება.**

**რუბიო ტრამპთან პრაიმერში დამარცხდა, ამიტომ მას წარმოუდგენლად აკრიტიკებდა. ტრამპი იძულებული გახდა, დაენიშნა სახელმწიფო მინისტრად, რადგან მისი მხარდამჭერების ხმები სჭირდებოდა. ამიტომ რუბიო ახლა თეთრ სახლში ყველაზე გავლენიანი და ბევრი თანამდებობის მქონე პირია, რომელიც მასკის თავიდან მოშორებით თავს ყველაზე კომფორტულად უნდა გრძნობდეს“,** – ამბობს **ახვლედიანი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# NATO-მ თხარა, თხარაო, რუსეთ-ჩინეთის ერთობა გამოთხარაო!

ნატოს გენერალური მდივანი მარკ რუტე:

## რუსეთი ნატოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოსაყენებლად ხუთ წელიწადში იქნება მზად!



რუტეს თქმით, რუსეთი სამ თვეში აწარმოებს საბრძოლო მასალების იმ რაოდენობას, რასაც ნატო მთელი წლის განმავლობაში.

**„რუსეთმა ძალები გააერთიანა ჩინეთთან, ჩრდილოეთ კორეასა და ირანთან. ისინი აფართოებენ შეიარაღებულ ძალებსა და შესაძლებლობებს. პუტინის სამხედრო მანქანა, შენელების ნაცვლად, სწრაფდება. რუსეთი თავის ძალას ჩინური ტექნოლოგიების გამოყენებით აღადგენს, უფრო სწრაფად აწარმოებს იმაზე მეტ იარაღს, ვიდრე გვეგონა. თავს ნუ მოვიტყუებთ, ახლა ჩვენ, ყველანი აღმოსავლეთ ფლანგზე ვართ. რუსული რაკეტების ახალ თაობას შეუძლია, იფრინოს სიჩქარით, რაც ბევრჯერ აღემატება ბგერის სიჩქარეს. ევროპის დედაქალაქებთან დისტანცია რამდენიმე წუთის საკითხია. აღარ არსებობს აღმოსავლეთი ან დასავლეთი – არის მხოლოდ ნატო“,** – განაცხადა **რუტემ.**

ჩინეთი შეიარაღებული ძალების გაფართოებას თავბრუდამხვევი სისწრაფით ახორციელებს, ისინი, ვინც დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიან, ემზადებიან ხანგრძლივი კონფრონტაციისთვის. ნატოს გენერალური მდივნის მარკ რუტეს განცხადებით, ჩინეთი შეიარაღებული ძალების მოდერნიზებასა და გაფართოებას თავბრუდამხვევი სისწრაფით ახორციელებს. მისი თქმით, ჩინეთს დღეისათვის უკვე ჰყავს მსოფლიოს ყველაზე მსხვილი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

**„ჩინეთის სამხედრო არსენალი 2030 წლისთვის 435 ხომალდამდე გაიზრდება. ის ასევე აფართოებს ბირთვულ არსენალს. მათი თქმით, 2030-სთვის სურთ, ფლობდნენ 1000-ზე მეტ ბირთვულ ქობინს. ისინი, ვინც თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიან, ემზადებიან ხანგრძლივი კონფრონტაციისთვის და ცდილობენ დომინირებასა და ჩვენს დაყოფას. ისტორიამ გვასწავლა, რომ მშვიდობის შესანარჩუნებლად ომისთვის უნდა მოვემზადოთ“.**



# „ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები“

## რისმაგ გორდეზიანის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია – „ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები“ გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, კონფერენცია თსუ ემერიტუს პროფესორის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, ცნობილი ქართველ ელინისტის რისმაგ გორდეზიანის დაბადებიდან 85 წლის იუბილეს მიეძღვნა.**

კონფერენციაში 30-მდე მკვლევარმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც იმუშავეს შემდეგ სექციებში: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები, ბიზანტინისტიკის აქტუალური საკითხები, ნეოგრეცისტიკის აქტუალური საკითხები, ანტიკურობის რეცეფცია მსოფლიო კულტურაში, ბერძნულიდან ქართულად თარგმნის აქტუალური საკითხები.

კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე რისმაგ გორდეზიანს იუბილე თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ, თანამშრომლებმა, სტუდენტებმა და უცხოელმა კოლეგებმა მიულოცეს.



## ვახტანგ თურნავა:

# დღეს ჩვენ ვწერთ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების ახალ ისტორიას

**„მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, საქართველო ეკონომიკური უპირატესობის მოსაპოვებლად ვეღარ იბრძოლებს მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო პირობებით.**

**საჭიროა, შევქმნათ სამართლებრივი გარემო და ბიზნესგარემო, რომელიც იმავე სიჩქარით ვითარდება, როგორც ტექნოლოგიები, და ისეთი პირობები, რომლებიც ინვესტორსაც და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალსაც დაარწმუნებს, რომ საქართველო არის სწორი არჩევანი“**, – ამის შესახებ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვახტანგ თურნავამ** პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მან საქართველოს პარლამენტს ინიციატივით მიმართა, რათა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები დაჩქარებული წესით შევიდეს.

მისი განცხადებით, ეს არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი და ახალი სიტყვა, რომელიც ერთდროულად ემსახურება საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას და



რეგიონულ და საერთაშორისო ჭრილში პოზიციონირების გაძლიერებას.

როგორც ვახტანგ თურნავამ განმარტა, კანონპროექტი ადგენს სპეციალურ ბინადრობის ნებართვას IT სექტორის პროფესიონალებისთვის.

**„ეს უზრუნველყოფს საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების სტაბილურ ყოფნას ქვეყანაში. საშუალებას მისცემს მცირე მეწარმეებად დარეგისტრირებულ უცხოელ სპეციალისტებს დარჩნენ და საქმიანობა განახორციელონ საქართველოში გრძელვადიანად და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – IT სექტორიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის შემოსავალი“**, – განაცხადა **ვახტანგ თურნავამ**.

მისივე განმარტებით, პირდაპირი ფინანსური შემოსავლების ზრდის გარდა, რომელიც თითოეულ ქართულ ოჯახს მოხმარდება, მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტების საქართველოში მოზიდვა ხელს შეუწყობს მათ მიერ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ჩვენი ახალგაზრდების, სტუდენტების, დამწყები პროფესიონალებისთვის.

ვახტანგ თურნავამ საერთაშორისო პარტნიორებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც აცნობიერებს გლობალური ციფრული ეკონომიკის როლს და დგამს მკაფიო პოლიტიკურ და საკანონმდებლო ნაბიჯებს.

**„ჩვენ გელოდებით საქართველოში არა როგორც ტურისტებს, არამედ როგორც პარტნიორებს – ინოვაციის ზრდისა და განვითარების გზაზე“**, – განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ.

# მულტიმოდალური საკონტეინერო ტერმინალი – ფოთში




**ფოთში მულტიმოდალური საკონტეინერო ტერმინალი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნის ღონისძიებაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილმა მიიღო მონაწილეობა.**

როგორც მან სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ტერმინალი შუა დერეფნის მონაწილე ქვეყნების კოოპერაციის მაგალითია, რადგან ამ პროექტში მათი კონტრიბუციაა როგორც მშენებლობის ნაწილში, ისე ინვესტიციის და შემდგომში ოპერირების კუთხით.

**„მულტიმოდალური ტერმინალის გახსნა სასიხარულოა, რადგან ფოთის სატრანსპორტო კომპლექსში წლებია, არ განხორციელებულა ამ მოცულობის ინვესტიცია და არ გაშვებულა ასეთი თანამედროვე ტერმინალი. ტრანსპორტის სექტორის მუშაკები, რომლებიც გათვითცნობიერებული არიან შუა დერეფნის გადაზიდვების სტრუქტურაში, შეამჩნევდნენ, რომ ტერმინალი სრულად არის ადაპტირებული ბლოკ-მატარებლებზე. სწორედ მათი ხარისხიანი მომსახურებით მიიღწევა ის შედეგი, რომელიც შუა დერეფანს მეტად კონკურენტუნარიან მარშრუტად აქცევს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“**, – განაცხადა **გურამ გურამიშვილმა**.

**მულტიმოდალური ტერმინალის პროექტი სს „ფოთის ტრანსტერმინალმა“ განახორციელა, რომელიც ყაზახური და ქართული მხარეების მიერ ერთობლივად დაფუძნებული კომპანიაა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 31.5 მილიონ აშშ დოლარია. ტერმინალი ფოთის პორტთან ახლოს, 9 ჰექტარზე მეტ ფართობზეა განლაგებული, მისი წლიური გამტარუნარიანობა, პირველ ეტაპზე, 80 000 კონტეინერზე მეტი იქნება. ამასთან, როგორც „ფოთის ტრანსტერმინალში“ აცხადებენ, ტერმინალი ერთდროულად 120-მდე სარკინიგზო ვაგონს მოემსახურება და 100-ზე მეტ ადამიანს დაასაქმებს. ტერმინალი მოემსახურება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ გადაზიდვებს. მნიშვნელოვანია ასევე რეგიონალური დანიშნულებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით ტვირთების გადამუშავება.**

ფოთის მულტიმოდალური ტერმინალის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კასიმ ტლეპოვმა, ასევე ჩინეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა.

# ოკეანეების, ზღვების და საზღვაო რესურსების დაცვა და გამოყენება

## დავით სონღულაშვილი საფრანგეთში, გაეროს კონფერენციაზე, სხვადასხვა ქვეყნის კოლეგა მინისტრებს და მაღალი თანამდებობის პირებს შეხვდა



**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი საფრანგეთში, გაეროს კონფერენციაზე, რომლის სახელწოდებაა „მდგრადი განვითარების მიზნებისთვის, ოკეანეების, ზღვების და საზღვაო რესურსების დაცვა და მდგრადი გამოყენება“ სხვადასხვა ქვეყნის კოლეგა მინისტრებს და მაღალი თანამდებობის პირებს შეხვდა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კონფერენციის ფარგლებში სონღულაშვილი შეხვდა ფინეთის კლიმატისა და გარემოს დაცვის მინისტრს **სარი მულთალას**, ისლანდიის გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და კლიმატის მინისტრს **იოჰან პოლ იოჰანსონს,** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გენერალურ დირექტორს **კუ დონიუს,** პარიზის მერს **ანნ იდალგოს,** საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის საგარეო კომიტეტის პრეზიდენტს **ბრუნო ფუქსის.**

**კონფერენციას 100-ზე მეტი სახელმწიფოს ლიდერი, გარემოს დაცვის მინისტრი და სხვა მაღალი თანამდებობის პირი ესწრება. ქალაქ ნიცაში მიმდინარე გაეროს კონფერენცია გაეროს გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტიერეშმა გახსნა. კონფერენციის მონაწილეებს მიმართეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ანტონიო კოშტამ და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.**

კონფერენციაზე განიხილეს კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შემცირების, ბიომრავალფეროვნების დაცვის, პლასტიკით გარემოს დაბინძურების პრევენციის და საზღვაო გარემოსა და რესურსების დაცვის ერთიანი მიდგომების საკითხები.

დავით ზარდიაშვილი:



# დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიზანი საქართველოში არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ მართვადი ქაოსის შექმნაა!..



**სახელმწიფო დეპარტამენტს აუცილებლად მოუწევს ახალი ელჩის კანდიდატურის შერჩევისას საფუძვლიანი მსჯელობა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ქალბატონების — დანიგანის და მანამდე დეგნანის ელჩობის, უკანასკნელ წლებში საქართველოსადმი გატარებული პოლიტიკის შეფასებაც**

## „ოცნების“ პირობებში საქართველოს არევას ვერავინ შეძლებს!

**დიდი ბრიტანეთი საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით ძალისხმევას აძლიერებს, რაც რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გაზრდას და მათ მიერ ანტისამთავრობო საქმიანობის რადიკალიზაციას ისახავს მიზნად. უწყების მტკიცებით, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დივერსიული საქმიანობის განხორციელების მიზნით დაახლოებით 100 ახალგაზრდული და სტუდენტური ასოციაცია, ფემინისტური მოძრაობები და ლგბტ ჯგუფები შეარჩია.**

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის განცხადებით, სიმართლის დამალვის, მასში ეჭვის შეტანის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი საქართველოში სწორედ ისაა, რომ ეს სიმართლე რუსეთის დაზვერვას გამოაცხადებინო. ცხადია, რუსეთის დაზვერვის მიმართ ნდობა საქართველოში ნულოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში, იმისგან სრულიად დამოუკიდებლად, თუ რას აცხადებს რუსეთის საგარეო დაზვერვა, აშკარაა, უცხოეთის სპეცსამსახურების, მათ შორის, ბრიტანული დაზვერვის მიზანია ამბოხების გზით ამ ხელისუფლების დამხობა.**

**for.ge დავით ზარდიაშვილს ესაუბრა.**

**— ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა გადაწყვიტა, რომ პენსიაზე გავიდეს, აქვე აზუსტებს, რომ იგი მის მთავრობას არ გაუწვევია. ბატონო დავით, თუკი ქრონოლოგიას გავყვებით, განსაკუთრებით ბოლო ორი თვის განმავლობაში საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები, ბოლო წერტილი იყო ელჩის მხრიდან პრეზიდენტის მილოცვის არგამოქვეყნება. რომ შევაჯამოთ ელჩის მოქმედება, როგორ ფიქრობთ, წავიდა პენსიაზე, თუ გაუშვეს პენსიაზე?**

— აქ მთავარი ისაა, რომ თავად მოუწია განემარტა — ჩემს მთავრობას არ გავუწვევივარო. ასეთი განმარტება, ცხადია, სრულიად ზედმეტი და უადგილო იქნებოდა, მისი საქმიანობა წარმატებული რომ ყოფილიყო. ქალბატონმა დანიგანმა აშკარად და იგრძნო, რომ ძალზე წარუმატებელი ელჩობა გასწია, ძირითადად, ძალზე ნეგატიურად აფასებს ქართველების უმრავლესობა მის საქმიანობას და სწორედ ამიტომ დასჭირდა თავის მართლება. ალბათ, მაინც უფრო თავისი ნებით წავიდა პენსიაზე, რადგან საქართველომ, როგორც უაღრესად რთულმა და დაუმორჩილებელმა ქვეყანამ, მისი უზარმაზარი ენერგია წაიღო, გვარიანად გადაიღალა, შესაძლოა, გამოიფიტა კიდეც. და მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ჰგავს საპენსიო ასაკის მანდილოსანს, გადაწყვიტა დიპლომატიური კარიერის შეწყვეტა და დამსახურებული დასვენება ითხოვა.

**— თუმცა, მისია ვერ შეასრულა...**

— მისი მისიაც შეუსრულებელი აღმოჩნდა და მის კარიერასაც წერტილი დაესვა, რაც სამწუხაროა. დამაფიქრებელი და სავალალო კი ის გახლავთ, რომ სწორედ ასეთი შეუსრულებადი მისიით გამოგზავნეს აქ.

**— დანიგანის გაწვევა ნიშნავს, რომ ახალი ურთიერთობა იწყება ქართულ-ამერიკულ ურთიერობაში, ამაზე საუბრობს პრემიერი თავის წერილში და იგივეს მიანიშნებს ტრამპი მილოცვის წერილში. როგორ ფიქრობთ, რა ფაზაში გადადის ქართულ-ამერიკული ურთიერთობა და ეს განსაზღვრავს თუ არა „მეგობარი აქტის“ ბედს?**

— დანიგანის წასვლა (მაინც კორექტულობა დავიცვათ და ნუ ვუწოდებთ — გაწვევას) ნებისმიერ შემთხვევაში, მიანიშნებს აშშ-ს მხრიდან საქართველოსადმი დამოკიდებულების არსებით გადაფასებაზე. თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს აუცილებლად მოუწევს ახალი ელჩის კანდიდატურის შერჩევისას, საფუძვლიანი მსჯელობა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ქალბატონების — დანიგანის და მანამდე დეგნანის ელჩობის, უკანასკნელ წლებში საქართველოსადმი გატარებული პოლიტიკის შეფასებაც. ბედის ირონიაა, ალბათ, რომ ამ ქალბატონების გვარებიც კი ასე ჰგავს ერთმანეთს, როგორც მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ჰგავდა.

ეს იყო ერთი სტრატეგია, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, ითვალისწინებდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლას და ამით დაინტერესებული როგორც საგარეო, ისე შიდა აქტორების ძალისხმევათა მხარდაჭერას, კოორდინაციას და უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ წარმართვასა თუ უშუალო ხელმძღვანელობას. ყველა ეს ანტიქართული ძალისხმევა, რაც განსაკუთრებული ცინიზმით არღვევდა დიპლომატიური ქცევის ელემენტარულ წესებს, სრულიად უშედეგო გამოდგა და ამგვარი პოლიტიკა საქართველოს მიმართ კრახით დასრულდა. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები არა მხოლოდ სერიოზულად გაფუჭდა, არამედ აშკარად კონფრონტაციული გახდა.

**გუნებრივია, ეს არ შეიძლება შედიოდეს არც საქართველოს და რაც ხაზგასასმელია, ასევე, არც აშშ-ს ეროვნულ ინტერესებში. აშშ-ს ინტერესები საქართველოს ინტერესებზე უფრო მეტადაც დაზარალდა, რადგან ფაქტობრივად დაინგრა პარტნიორული ნდობა და შესაბამისად, პოზიტიური მძლავრი გავლენა, რაც აშშ-ს ჰქონდა საქართველოზე, ფაქტობრივად, განულდა. ამ ვითარებაში ეს ნდობა და მისი თანმდევი პოზიტიური გავლენაც, თავიდან არის ასაშენებელი. უდავოდ საიმედოა, რომ აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასა და საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას დირებულებითი თანხვედრა აქვთ უმთავრეს საკითხებში.**

იმედია, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის დღევანდელი მესვეურები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ და აშშ-ს პოლიტიკა საქართველოს მიმართ საფუძვლიანად დაკორექტირდება. ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი მაინც უნდა ვიქონიოთ და გვქონდეს კიდეც მოლოდინი, რომ მომავალი ელჩის საქმიანობა აღარ გასცდება დიპლომატიის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და მის მიერ სათანადო პატივისცემა გამოვლინდება მასპინძელი ქვეყნისადმი. ეს, პირველ ყოვლისა, სამომავლოდ გამორიცხავს ისეთი უხეში ფორმით, რაც ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად ხდებოდა, უტიფარ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში.

რაც შეეხება „მეგობარ აქტს“, რასაკვირველია, ასევე იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ეს უაღრესად ანტიქართული საკანონმდებლო აქტი, საბოლოო ჯამში, აშშ-ს კონგრესის მიერ არ იქნება მიღებული, ანდა მას ხელს არ მოაწერს აშშ-ს პრეზიდენტი. თუ ეს საუბედუროდ მაინც მოხდა, ამ შემთხვევაშიც, უფრო მეტად აშშ-ს რეპუტაცია, საქართველოში მისი პოლიტიკური კაპიტალი დაზარალდება, ხოლო საქართველოს, რომელმაც გაცილებით მძიმე ზეწოლას გაუძლო ბაიდენის ადმინისტრაციისა და სახელმწიფო მდივან ბლინკენის პირობებში, ვიდრე ეს თუნდაც „მეგობარი აქტის“ მიღების შემთხვევაშიც კი, ამჟამინდელი ადმინისტრაციისგან პრაქტიკულად მოსალოდნელია, დიდად არაფერი დააკლდება.

**— რაც შეეხება თვითმმართველობის არჩევნებს, ევროკავშირის ის ქვეყნები, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას და რადიკალურ ოპოზიციას მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისკენ და სწორედ მათი ზეგავლენით უარი თქვეს დეპუტატის მანდატზე, დღეს ოპოზიციისგან მოითხოვენ, რომ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და შესაბამისად, „ლელო“ და გახარია ამბობენ, რომ ჩაერთვებიან არჩევნებში. რა მოლოდინი გაქვთ, ბატონო დავით, შეუერთდებიან სხვა ოპოზიციური ძალები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არ არიან დამოუკიდებელნი?**

— მოლოდინი აქ, სამწუხაროდ, კვლავაც უაღრესად არაკეთილსაიმედოა: უცხოეთის კარნახით მოქმედი ოპოზიცია ისევ და ისევ, მხოლოდ დესტრუქციაზე იქნება ორიენტირებული. მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ეს მათი ე.წ. პოლიტიკის ოდენ ტაქტიკური საკითხია, ხოლო ამ ე.წ. პოლიტიკის სტრატეგია არ იცვლება — რაც შეიძლება მეტი არეულობის შექმნა ქვეყანაში. მათი მონაწილეობაც სწორედაც არეულობის პროვოცირებისკენ იქნება მიმართული და არმონაწილეობაც. რაც შეეხება უშუალოდ დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს, არც მისი წარმართვის და არც შედეგების თვალსაზრისით, რაიმე არსებითი გავლენა ვერც მათ ჭრელ, აწეწილ-დაწეწილ, უთავბოლო ტაქტიკას და მით უმეტეს, ვერც აბსოლუტურად დესტრუქციულ და ფუჭ სტრატეგიას — ვერასგზით ექნება.

**უცხოეთის კარნახით მოქმედი ოპოზიცია ისევ და ისევ, მხოლოდ დესტრუქციაზე იქნება ორიენტირებული. მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ეს მათი ე.წ. პოლიტიკის ოდენ ტაქტიკური საკითხია, ხოლო ამ ე.წ. პოლიტიკის სტრატეგია არ იცვლება — რაც შეიძლება მეტი არეულობის შექმნა ქვეყანაში. მათი მონაწილეობაც სწორედაც არეულობის პროვოცირებისკენ იქნება მიმართული და არმონაწილეობაც.**



**— რაც შეეხება შანსებს, ოპოზიცია ამბობს, რომ თბილისს წაართმევენ მმართველ გუნდს. რა შანსები აქვს კალაძეს, რომ პირველივე ტურში დადოს შედეგი? ვიცით, რომ წინა არჩევნებში მას დასჭირდა მეორე ტური...**

— აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. კახა კალაძე კი არა, ნებისმიერი კანდიდატი, ვისაც „ქართული ოცნება“ დააყენებს, მით უმეტეს დედაქალაქის დღევანდელი მერი, უდიდესი პოლიტიკური კაპიტალით, სრულიად უკონკურენტოა, ახლოსაც ვერ მივა ვერავინ და არა მგონია, მეორე ტური გახდეს საჭირო. თუმცა, ვნახოთ.

**— რუსეთის საგარეო დაზვერვა აცხადებს, რომ დიდი ბრიტანეთი საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით, ძალისხმევას აძლიერებს და ბრძოლის ახალი რაუნდის დაწყება სურს. ბატონო დავით, რამდენად შეიძლება ეს ინფორმაცია შეესაბამებოდეს რეალობას, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთის პოზიციას საქართველოში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით და როგორ ფიქრობთ, რატომ არის დასავლეთი ასე დაინტერესებული და რატომ არის მათი თვითმიზანი აქ ხელისუფლების შეცვლა?**

— უცხოეთის სპეცსამსახურები, მათ შორის, ბუნებრივია, ბრიტანული დაზვერვაც, დიდი ხანია, რაც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომლის შინაარსი ამბოხების გზით ამ ხელისუფლების დამხობაა, აქტიურად ახორციელებენ. ეს სიახლე არ არის, დაზვერვაც არ სჭირდება მის დანახვას და შეუიარაღებელი თვალითაც მკაფიოდ ჩანს.

მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ სპეცსამსახურების მთვარი მიზანი არ არის საქართველოში ხელისუფლების შეცვლა, არამედ ეს ძირგამომთხრელი საქმიანობაცა და ე.წ. რევოლუციის მცდელობებიც ქვეყანაში მასშტაბური არეულობის, ე.წ. მართვადი ქაოსის შექმნას ემსახურება (სულ ერთია, წარმატებული თუ სულაც წარუმატებელი ამბოხებების კასკადის ორგანიზებით), რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად ფართო რეგიონის ხანგრძლივი დესტაბილიზაციისთვის. როგორც ჩანს, საქართველოში არეულობა, მართვადი ქაოსის გამოწვევა, ემსახურება რუსეთის სამხრეთის ფლანგის დესტაბილიზაციის გეოპოლიტიკურ განზრახულობებს და ასევე, დიდი ალბათობით, „შუა დერეფანის“ ტორპედირებასაც. დარწმუნებული ვარ, ეს მცდელობებიც სრულიად ფუჭი იქნება და საქართველოს არევას უკვე ვერავინ შეძლებს.

ესაუბრა

**თამთა ქარჩავა**

# ქართულად „ჩაწყობილი“ ტენდერები!..



## ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი ცნობიერებისა (მენტალიტეტის) და კანონმდებლობის შესახებ

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ:**

**მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველ ხალხს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და სხვა სახელმწიფოების კანონებითა და წესებით ცხოვრობდა.**

**ეს კანონები არ ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ამ კანონების მიმართ ქართველთა დამოკიდებულებაც შესაბამისი იყო. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა არაკანონმორჩილი გახდა. ჩამოყალიბდა კლანურ-ნათესაური ურთიერთობები.**

**საკუთარი სახელმწიფოს უქონლობამ გამოიწვია საზოგადოებრივ ცნობიერებაში სახელმწიფო ინტერესების იგნორირება. ქართველი კაცი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდა და სახელმწიფოებრივი ინტერესები არ აწუხებდა. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ქონების გამნიავებლებს გაკიცხვის ნაცვლად, ახალისებდა კიდეც!**

საბჭოთა პერიოდში თანამდებობის პირზე იტყოდნენ „თვითონ ჭამს და სხვასაც აჭმევს, რას ერჩი, კაცური კაციაო“.

საბჭოთა ეპოქაში საქართველოში ნეპოტიზმი და კორუფცია ყვაოდა. თანამდებობის პირი თუ არ დაეხმარებოდა ნათესავს ან სამეგობროს, მას შეიძლება საერთოდ დაეკარგა სანათესაო ან სამეგობრო წრე. ნათესავის თუ მეგობრის დახმარებაში ცუდი არაფერია, პირიქით, მისასალმებელიცაა, მაგრამ ცუდია, როდესაც დახმარება სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე ხორციელდება.

საზოგადოებრივი ცნობიერების (მენტალიტეტის) გარდაქმნა დიდი ინერტიულობით ხასიათდება. თაობებია საჭირო მის შესაცვლელად. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები ვერ შეიტანა; ბოლო 35 წელიწადში ქვეყანაში ნეპოტიზმი და კორუფცია თითქმის არ შემცირებულა, ამას დიდი კვლევები არ სჭირდება! აღნიშნულის დასადასტურებლად შეგვიძლია ავიღოთ კანონი **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“**, რომლის მიზანია სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა და ტენდერების ობიექტურად ჩატარებაზე საზოგადოების ნდობის მოპოვება; 1995 წლიდან დაწყებული, რაც კანონი ამოქმედდა და სატენდერო კომისიებმა დაიწყო მუშაობა. როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე დღემდე მიმდინარეობს ტენდერების ჩაწყობა. ტენდერებით განხორციელებულმა სახელმწიფო შესყიდვებმა ვერ მოიპოვა საზოგადოების ნდობა – დღემდე არ სრულდება კანონის მოთხოვნა!

ეს ყველაფერი ძირითადად განპირობებულია კანონში ჩვენი ცნობიერების, მენტალიტეტის უგულებელყოფით. კერძოდ, კანონის შესაბამისად *(თავი III (ტენდერი), მუხლი II* – სატენდერო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი), სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მოადგილე, ხოლო წევრებად ამავე ორგანიზაციის თანამშრომლები. კომისიის თავმჯდომარეს გააჩნია კომისიის წევრებზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტები, რაც დაინტერესების შემთხვევაში განაპირობებს კომისიის არაობიექტურ გადაწყვეტილებას. კანონმდებლობით კომისიის თავმჯდომარის ვინაობა, განაცხადების მიღების დაწყებამდე, საზოგადოებისთვის ცნობილია... ტენდერში მონაწილე პირებისთვის იქმნება საუკეთესო პირობები, კონტაქტში შევიდნენ კომისიის თავმჯდომარესთან ან მაღალ თანამდებობის პირებთან; სახეზეა ორმხრივი ფინანსური ინტერესები. ასეთ პირობებში კანონის მიზნები შეუსრულებელი რჩება.

**სახელმწიფო შესყიდვების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებისთვის, აუცილებელია კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. ამ მიზნით გთავაზობთ სატენდერო კომისიის ჩამოყალიბების შემდეგ წესს:**

**შემსყიდველ ორგანიზაციაში შეიქმნას მუდმივმოქმედი სატენდერო კომისია, ერთი წლის საბიუჯეტო ვადით. სატენდერო კომისია განისაზღვროს (პირობითად) 30 წევრის შემადგენლობით; შემსყიდველი ორგანიზაცია წარადგენს თავმჯდომარის – 3, ხოლო წევრების – 9 კანდიდატურას, დანარჩენ წევრთა კანდიდატურებს წარადგენენ არასაპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. თითოეული ჯგუფიდან არანაკლები ექვსი წევრისა. ჯგუფების სია შედის კომპიუტერში ცალ-ცალკე, თითოეულს ენიჭება კოდი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.**

**ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად, ტენდერის ჩატარების დღეს, ირთვება კომპიუტერული პროგრამა, რომელიც შემთხვევითი შერჩევის გზით მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის წევრებისაგან ქმნის დროებით სატენდერო კომისიას – შემსყიდველი ორგანიზაციიდან თავმჯდომარე და სამი წევრი, დარჩენილი ჯგუფიდან თითო-თითო წევრი, სულ 7 პირი. კომისიის წევრები იმავე დღეს იკრიბებიან. კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 2 ხმის უპირატესობით. თუ კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, დგება ახალი კომისია. კეთდება კომისიის სხდომის ვიდეოჩანაწერი.**

**ეს მინიმუმამდე დაიყვანს ტენდერების ჩაწყობის შემთხვევათა რაოდენობას;**

**მსგავსი სქემით ხორციელდება ტენდერები ქვეყნის მმართველობის ნებისმიერ დონეზე. კარგი იქნება თუ სამინისტროებთან და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან არსებული სოციალური დახმარების, აგრეთვე კადრების პროფესიული დონის განმსაზღვრელი საატესტაციო-საკონკურსო კომისიები დაკომპლექტდება ანალოგიური წესით.**

**35 წელიწადია ვცდილობთ, ვიცხოვროთ უკეთესი დასავლური (ევროპულ-ამერიკული) კანონებით, თუმცა, რადგან ჩვენი საზოგადოება არ იმყოფება განვითარების შესაბამის დონეზე, დასავლური კანონების რეალიზაცია არ იძლევა იმ შედეგებს, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ვხედავთ. ალბათ, უმჯობესი იქნება ევროპული დირექტივების სარეალიზაციოდ კი არ ვთარგმნოთ მათი კანონები, არამედ ევროპული დირექტივების ბაზაზე შევიმუშაოთ ქართული კანონები ჩვენი ცნობიერების გათვალისწინებით. ეს პირველ რიგში ეხება კანონებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ქონების გასხვისხების, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის, სახელმწიფო სტრუქტურებში კადრების შერჩევის ან სხვა მსგავს საკითხებს...**

**ზაურ კაჭარავა,**
ტელ. 555 268 990

# აკრძალავს რუსეთი სომხურ ვარდებს?

გერმანული რადიოს **„დოიჩე ველეს“ (Deutsche Welle)** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„აკრძალვის ზღვარზე: რუსეთმა შეიძლება სომხური ვარდების იმპორტი შეაჩეროს. რას ნიშნავს მოსკოვის განზრახვა სომხეთისათვის?“** (ავტორი – **არშალუის მღდესიანი**). პუბლიკაციაში განხილულია რუსეთ-სომხეთის ურთიერთობის პრობლემები.

**– 2025 წლის 16 ივნისიდან „როსსელხოზნადზორს“ განზრახული აქვს სომხეთიდან ყვავილების იმპორტი შეაჩეროს, რაც პროდუქციაში საკარანტინო მავნებლების აღმოჩენით არის განპირობებული. მხარეებს შორის აქტიური მიწერ-მოწერა მიმდინარეობს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება მოსკოვსა და ერევანს შორის ურთიერთობის საგრძნობი გაცივების ფონზე, სომხეთის დაახლოების გამო ევროკავშირთან და აშშ-სთან. არის თუ არა დაგეგმილი სანქცია ერევანზე მოსკოვის ზეწოლის გამოვლინება და როგორ გადაწყვეტენ მხარეები პრობლემას?**, – ნათქვამია სტატიაში.

გთავაზობთ ამონარიდებს: Deutsche Welle

### რუსეთის აკრძალვა – შანსი თუ დარტყმა სომხეთისთვის?

**სომხეთიდან რუსეთში ყვავილების ექსპორტი ყოველწლიურად მატულობს: როგორც „როსსელხოზნადზორი“ იტყობინება, 2025 წლის დასაწყისიდან რუსეთში შეტანილი იქნა 52 მილიონი ყვავილი, რაც 49%-ით მეტია 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (34,7 მილიონი). თუმცა მიმდინარე წელს ცამეტჯერ იქნა გამოვლენილი ყვავილების დაავადება.**

სომხეთის ფიტოუსაფრთხოების საინსპექციო ორგანოსა და „როსსელხოზნადზორს“ შორის მიმდინარე დისკუსიის ფონზე გაისმის სხვადასხვა საექსპერტო შეფასებებიც. სომეხი აგრარიკოსის არუთინ მნაცაკანიანის თქმით, რუსეთის გადაწყვეტილება ყვავილებით ვაჭრობის სავარაუდო აკრძალვა-შეჩერებაზე მოულოდნელი არ ყოფილა. იყო იმის ნიშნები, რომ რუსეთი შეამცირებდა ისეთი პროდუქციის იმპორტს, რომლის წარმოება მას საკუთარ ტერიტორიაზეც შეუძლია. **„რა თქმა უნდა, სომხეთის მეყვავილეობის დარგისათვის „როსსელხოზნადზორის“ გეგმები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს – შემცირდება როგორც უშუალოდ სომეხი ბიზნესმენების მიერ სათბურებში გამოზრდილი ყვავილების ექსპორტი რუსეთში, ასევე იმპორტი მესამე ქვეყნებიდან, რაც ასევე წამგებიანი იქნება სომეხი მეწარმეებისათვის“**, – ამბობს **არუთინ მნაცაკანიანი**, – ბოლო დროს ბევრი სომეხი ბიზნესმენი გადაერთო მებოსტნეობა-მეხილეობის დარგიდან მეყვავილეობაზე“.


На грани запрета: РФ может остановить ввоз армянских цветов
Аршалуйс Мгдесян
07.06.2025
Россия может приостановить импорт цветов из Армении. Связана ли эта мера с охлаждением отношений между Москвой и Ереваном, и как это повлияет на армянскую экономику?

### ტექნიკური დავაა თუ საქმე პოლიტიკაშია?

**ერთი შეხედვით, საკითხი ტექნიკური დავის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც პროდუქციის ხარისხს ეხება. მაგრამ სომხეთ-რუსეთის ურთიერთობის გაუარესების კონტექსტში ეს ეპიზოდი უფრო ფართო პოლიტიკურ აზრს იძენს. რუსეთთან დამოკიდებულებაში გაჩენილი პრობლემების ფონზე, სომხეთი თანმიმდევრულად განამტკიცებს ურთიერთობას აშშ-სთან და ევროკავშირთან, რაც მოსკოვში გეოპოლიტიკურ შეტრიალებად განიხილება.**

ამ ფონზე სანიტარიული პრეტენზიები სომხეთის მიერ ხშირად აღიქმება ზეწოლის ინსტრუმენტად – როგორც სომეხი კომენტატორები აღნიშნავენ, რუსეთის მოქმედების მსგავსი პრეცედენტები წინა წლებში შეიმჩნეოდა მოლდოვასთან და საქართველოსთან მიმართებით.

### რა შუაშია საქართველო?

**სიტუაციას დამატებით სიმწვავეს აძლევს ის ფაქტი, რომ სომხური ექსპორტი უკვე მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება.**

ბოლო კვირებში გაურკვეველი რჩება სომხური ალკოჰოლური პროდუქციის ტრანზიტის საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე: კონიაკით და ღვინით დატვირთული ათობით ავტოფურა (ავტოტრაილერი) აღმოჩნდა დაბლოკილი საქართველო-რუსეთის საზღვარზე, სომეხმა ბიზნესმენებმა კი საგრძნობი ზარალი განიცადეს. მართალია, ივნისის დასაწყისში საკითხის დარეგულირების რაღაც იმედი გაჩნდა – ქართულმა მხარემ სომხურ ავტოტრაილერებს რუსეთის მიმართულებით წასვლის ნება დართო.

**სხვათა შორის, ინციდენტი მოხდა სომხეთ-საქართველოს საზღვარზეც, 6 ივნისს, როცა ქართულმა მხარემ 11 ათასი ყვავილის ტვირთი დააკავა, ფიტოუსაფრთხოების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ საქართველო სომხური ყვავილების გაყიდვის ერთ-ერთ უდიდეს ბაზრად ითვლება.**

**„საზღვარზე მომხდარი ინციდენტები მოწმობს, რომ სომხეთის საგარეო ვაჭრობა მოწყვლადია რეგიონული ფაქტორების გამო“**, – აღნიშნავს „დოიჩე ველესთან“ საუბარში ეკონომისტი **გრანტ მიქაელიანი**.

იგი თვლის, რომ სომეხი მეწარმეებისთვის რუსული ბაზარი მთლიანად არ დაიხურება, მაგრამ არ გამორიცხავს მიზანმიმართულ შეზღუდვებს ცალკეულ სექტორებში.

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



ვბეჭდავთ მკითხველის თხოვნით

საქართველოს რესპუბლიკა

# საქართველოს კანონი




# უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

## მუხლი 1.
## ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პირი** – ფიზიკური პირი, პარტნიორთა ჯგუფი, ასოციაცია, კორპორაცია, ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა ნებისმიერი სხვა გაერთიანება;

ბ) **უცხოური პრინციპალი:**

ბ.ა) უცხო ქვეყნის ხელისუფლება ან უცხოური პოლიტიკური პარტია;

ბ.ბ) პირი, რომელიც საქართველოს ფარგლების გარეთ იმყოფება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირი საქართველოს მოქალაქეა და მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ან როდესაც ეს პირი ფიზიკური პირი არ არის, მაგრამ იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის დაფუძნებული და ორგანიზებული და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზეა;

ბ.გ) პარტნიორთა ჯგუფი, ასოციაცია, კორპორაცია, ორგანიზაცია ან ფიზიკურ პირთა სხვა გაერთიანება, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია უცხო ქვეყნის კანონით ან რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა;

გ) **უცხოური პრინციპალის აგენტი** (გარდა ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა):

გ.ა) პირი, რომელიც მოქმედებს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი, ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით, ან იმ პირის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით და რომლის საქმიანობას მთლიანად ან უმეტესწილად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზედამხედველობს, მართავს, აკონტროლებს, აფინანსებს ან რომლის საქმიანობის სუბსიდირებას ახორციელებს უცხოური პრინციპალი, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

გ.ა.ა) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობს;

გ.ა.ბ) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოქმედებს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი;

გ.ა.გ) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან გასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას;

გ.ა.დ) იგი საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე;

გ.ბ) პირი, რომელიც თანხმდება, ნებას ავლენს ან უშვებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ან სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე იმოქმედოს, როგორც ამ მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა უცხოური პრინციპალის აგენტმა, ან რომელიც თავს უცხოური პრინციპალის აგენტად მოქმედად აჩვენებს ან წარმოაჩენს;

დ) ტერმინი „უცხოური პრინციპალის აგენტი“ არ მოიცავს ახალი ამბების მასობრივი გავრცელების იმ საშუალებას, ახალი ამბების მასობრივად გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, მასობრივი ინფორმაციის იმ ბეჭდურ საშუალებას, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებით გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა/შეიქმნა. ეს ტერმინი არ მოიცავს აგრეთვე იმ გაზეთს, იმ ჟურნალს, იმ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემას, იმ პუბლიკაციას, რომელიც საქართველოში გამოიცემა ახალი ამბების კეთილსინდისიერი გავრცელებით ან ჟურნალისტური საქმიანობის კეთილსინდისიერი განხორციელებით, მათ შორის, რეკლამის შეთავაზების ან მოზიდვის, პროდუქტის ან მომსახურების გამოწერის შეთავაზების ან სხვა სახის საზღაურის მეშვეობით. ამ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ახალი ამბების მასობრივი გავრცელების იმ საშუალებაზე, ახალი ამბების მასობრივად გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებაზე, მასობრივი ინფორმაციის იმ ბეჭდურ საშუალებაზე, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებით გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებაზე, აგრეთვე იმ გაზეთზე, იმ ჟურნალზე, იმ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემაზე, იმ პუბლიკაციაზე, რომლის არანაკლებ 80%-ის ბენეფიციარი მესაკუთრეები და რომლის მმართველები და ხელმძღვანელები (მათი არსებობის შემთხვევაში) საქართველოს მოქალაქეები არიან, რომელსაც არ ფლობს, არ ზედამხედველობს, არ მართავს, არ აკონტროლებს, არ აფინანსებს, რომლის სუბსიდირებას არ ახორციელებს და რომელსაც არანაირ პოლიტიკას არ განუსაზღვრავს ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უცხოური პრინციპალი ან უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად უნდა დარეგისტრირდეს;

ე) **უცხო ქვეყნის ხელისუფლება** – პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ უცხო ქვეყანაში ან უცხო ქვეყნის ნაწილში ახორციელებს სუვერენულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ პოლიტიკურ იურისდიქციას, ან პირთა ჯგუფის დანაყოფი, პირთა ჯგუფი ან ორგანო, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დელეგირებული აქვს აღნიშნული სუვერენული ფაქტობრივი ან სამართლებრივი უფლებამოსილება ანდა ფუნქცია, ან უცხო ქვეყნის მეამბოხეთა დაჯგუფება ან ორგანო, რომლის მიმართაც ივარაუდება, რომ იგი ხელისუფლების უფლებამოსილებას ახორციელებს, მიუხედავად იმისა, აღიარა თუ არა საქართველომ მეამბოხეთა ეს დაჯგუფება ან ორგანო;

ვ) **უცხოური პოლიტიკური პარტია** – უცხოური ორგანიზაცია, ფიზიკურ პირთა სხვა უცხოური გაერთიანება ან უცხოური ორგანიზაციის ან ფიზიკურ პირთა სხვა უცხოური გაერთიანების სტრუქტურული ერთეული ან ფილიალი, რომელიც მიზნად ისახავს, განახორციელოს ან რომელიც ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ორიენტირებულია უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების ან მათი დანაყოფების ჩამოყალიბებაზე, მართვაზე, კონტროლზე, მართვის ან კონტროლის მოპოვებაზე, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების ან მათი დანაყოფების პოლიტიკური ან საჯარო ინტერესების, პოლიტიკის განხორციელების ან ურთიერთობების ხელშეწყობაზე ან ამ ინტერესებზე, პოლიტიკის განხორციელებაზე ან ურთიერთობებზე გავლენის მოხდენაზე;

ზ) **მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში** – პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მოიცავს უცხოური პრინციპალისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რჩევების მიცემას ან მის რაიმე ფორმით წარმომადგენლობას საზოგადოებასთან ურთიერთობების ნებისმიერ საკითხში, რომელიც ეხება უცხოური პრინციპალის პოლიტიკურ ან საჯარო ინტერესებს, მიდგომებს ან ურთიერთობებს;

თ) **სარეკლამო აგენტი** – პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ჩართული ზეპირი, ვიზუალური, გრაფიკული, წერილობითი ან ილუსტრირებული ინფორმაციის ან სხვა სახის პუბლიკაციის გამოცემაში ან გავრცელებაში, მათ შორის, რეკლამით, წიგნებით, პერიოდული გამოცემებით, გაზეთებით, ლექციებით, მაუწყებლობით, კინოკადრებით ან სხვა საშუალებების გამოყენებით;

ი) **საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი** – პირი, რომელიც აგროვებს, ავრცელებს ან აქვეყნებს პოლიტიკური, სამრეწველო, შრომითი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა სახის სარგებლის, ფაქტების ან პირობების შესახებ ანგარიშებს, აღწერილობებს, ინფორმაციას ან მონაცემებს ნებისმიერი ქვეყნის (გარდა საქართველოსი) თაობაზე, ან აგროვებს, ავრცელებს ან აქვეყნებს მათ რომელიმე უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის ანდა პარტნიორთა ჯგუფის, ასოციაციის, კორპორაციის, ორგანიზაციის ან ფიზიკურ პირთა სხვა გაერთიანების ინტერესების შესაბამისად, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია უცხო ქვეყნის კანონით ან რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა;

კ) **რეგისტრაციის განცხადება** – განცხადება, რომელიც უნდა წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ანტიკორუფციულ ბიუროს (შემდგომ – ანტიკორუფციული ბიურო) ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომლის წარდგენაც საჭიროა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, და რომელიც მოიცავს როგორც ყველა სავალდებულო დოკუმენტს, ისე დამატებით დოკუმენტებს ან მათში მითითებულ სხვა დოკუმენტაციას;

ლ) **ნაბეჭდი მასალა** – გაზეთი, პერიოდული გამოცემა, წიგნი, ბროშურა, პარტიტურა, სავიზიტო ბარათი, სამისამართო ბარათი, ბეჭდვითი ნიმუში, გრავიურა, ფოტო, სურათი, ნახატი, გეგმა, რუკა, ამოსაჭრელი ნიმუში, კატალოგი, ბუკლეტი, რეკლამა, სხვადასხვა სახის დაბეჭდილი, გრავირებული, ლითოგრაფიული ან ავტოგრაფიული ჩანაწერი, აგრეთვე, ზოგადად, ანაბეჭდი, რომელიც მიღებულია ქაღალდზე ან სხვა, ქაღალდის მსგავს მასალაზე, პერგამენტზე ან მუყაოზე ბეჭდვის, გრავირების, ლითოგრაფიის ან ავტოგრაფიის მეშვეობით, გარდა გასამრავლებელი მანქანის (პრესის), საცვლელი ან უცვლელი შრიფტის მქონე შტამპისა და საბეჭდი მანქანის გამოყენებით მიღებული ანაბეჭდებისა;

მ) **პოლიტიკური საქმიანობა** – პირის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებული ან განსახორციელებელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, მიღებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ის საქმიანობა, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს;

იხ. 8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
ეს ყველამ უნდა იცოდეს!
№81-82. ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2025 წელი

(მერვე გვერდიდან)

ნ) **პოლიტიკური მრჩეველი** – პირი, რომელიც ნებისმიერ სხვა პირს აწვდის ინფორმაციას ან აძლევს რჩევებს საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის საკითხებთან ან უცხო ქვეყნის ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ ან საჯარო ინტერესებთან, მიდგომებთან ან ურთიერთობებთან დაკავშირებით.

## მუხლი 2.

### რეგისტრაციის განცხადება

1. პირმა არ უნდა იმოქმედოს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, თუ მან ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგინა ავთენტური და სრულად შევსებული რეგისტრაციის განცხადება და დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით, ან თუ იგი ამ კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული არ არის რეგისტრაციის ვალდებულებისგან. გარდა შემდგომ გათვალისწინებული შემთხვევებისა, პირმა იმ დღიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც იგი უცხოური პრინციპალის აგენტი გახდება, ანტიკორუფციულ ბიუროს ფიცის ქვეშ, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი ფორმით უნდა წარუდგინოს რეგისტრაციის განცხადების ასლი. უცხოური პრინციპალის აგენტზე ვალდებულება, შეავსოს რეგისტრაციის განცხადება, ვრცელდება იმ დღიდან 10 დღის გასვლის შემდეგაც, როდესაც იგი უცხოური პრინციპალის აგენტი გახდება. უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსის შეწყვეტა პირს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, შეავსოს რეგისტრაციის განცხადება იმ პერიოდისთვის, როდესაც იგი უცხოური პრინციპალის აგენტი იყო. რეგისტრაციის განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) განმცხადებლის სახელს, ძირითად იურიდიულ მისამართს და მასთან დაკავშირებულ ყველა სხვა იურიდიულ მისამართს საქართველოში ან საქართველოს ფარგლების გარეთ, აგრეთვე ყველა ფაქტობრივ მისამართს (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) განმცხადებლის სტატუსს; ფიზიკური პირის შემთხვევაში – მისი მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას, პარტნიორთა ჯგუფის შემთხვევაში – თითოეული პარტნიორის სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, მისი მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას და თანაპარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების ნამდვილ და სრულ ასლებს, ასოციაციის, კორპორაციის, ორგანიზაციის ან ფიზიკურ პირთა სხვა გაერთიანების შემთხვევაში – მისი მმართველებისა და ხელმძღვანელების ან მათი ფუნქციებისა და მოვალეობების შემსრულებელი პირების სახელებს, საცხოვრებელი ადგილების მისამართებს, მათი მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას, ყველა დოკუმენტის (მათ შორის, სადამფუძნებლო შეთანხმების, წესდებისა და მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების) ასლებს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა აქტის/დოკუმენტის ასლს და ყველა იმ ზეპირი შეთანხმების წესებისა და პირობების წერილობით აღწერას, რომლებიც ეხება მის ორგანიზებას, უფლებამოსილებებსა და მიზნებს, ასევე სრულ ინფორმაციას მისი მფლობელებისა და მაკონტროლებლების შესახებ;

გ) ყოვლისმომცველ ინფორმაციას განმცხადებლის საქმიანობის არსის შესახებ, განმცხადებლის თანამშრომლების სრულ სიას და თითოეული მათგანის სამუშაოს სპეციფიკის აღწერას; ყველა იმ უცხოური პრინციპალის სახელსა და მისამართს, რომლისთვისაც განმცხადებელი მოქმედებს ან რომლისთვის მოქმედადაც თავს აჩვენებს ან წარმოაჩენს ან რომლისთვის მოქმედებასაც თანხმდება; ყველა ასეთი უცხოური პრინციპალის საქმიანობის ან სხვა სახის აქტივობის სპეციფიკის შესახებ ინფორმაციას, ხოლო თუ უცხოური პრინციპალი ფიზიკური პირი არ არის – ინფორმაციას იურიდიული პირის მფლობელისა და თითოეული მაკონტროლებლის თაობაზე; აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ყველა იმ უცხოური პრინციპალის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც სრულად ან ნაწილობრივ ფლობს, ზედამხედველობს, მართავს, აკონტროლებს, აფინანსებს ან რომლის სუბსიდირებას ახორციელებს უცხო ქვეყნის ხელისუფლება ან/და უცხოური პოლიტიკური პარტია ან/და სხვა უცხოური პრინციპალი;

დ) თითოეული წერილობითი შეთანხმების ასლს და ზეპირი შეთანხმებით გათვალისწინებულ წესებსა და პირობებს, მათ შორის, ასეთ შეთანხმებებში შეტანილ ცვლილებებს, ხოლო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში – სრულ ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც განმცხადებელი უცხოური პრინციპალის აგენტია; აგრეთვე თითოეული ასეთი ხელშეკრულების არსისა და შესაბამისი საქმიანობის მეთოდების სრულყოფილ აღწერას, იმ საქმიანობის დეტალურ აღწერას, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება და რომელიც შეიძლება პოლიტიკურ საქმიანობად იქნეს მიჩნეული;

ე) ინფორმაციას იმ შემოსავლის, შემოწირულების, ფულის ან მატერიალური ფასეულობის წარმომავლობისა და ოდენობის შესახებ, რომელიც განმცხადებელმა უცხოური პრინციპალისგან ბოლო 60 დღის განმავლობაში კომპენსაციის, დანახარჯის ან ნებისმიერი სხვა სახით მიიღო. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე თითოეული ასეთი გადახდის ფორმა და დრო, გადახდის განმახორციელებელი პირის ვინაობა;

ვ) დეტალურ ინფორმაციას ყველა იმ საქმიანობის (მათ შორის, პოლიტიკური საქმიანობის) შესახებ, რომელსაც განმცხადებელი ახორციელებს ან რომლის განმახორციელებლადაც თავს აჩვენებს ან წარმოაჩენს ან რომლის თავისთვის ან იმ სხვა პირისთვის (გარდა უცხოური პრინციპალისა) განხორციელებაზე თანხმდება, რომელიც განმცხადებელს ავალდებულებს, დარეგისტრირდეს ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) იმ პირის (გარდა უცხოური პრინციპალისა) სახელს, საქმიანობისა და რეგისტრაციის მისამართებს, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – აგრეთვე მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციას, რომლის ინტერესების შესაბამისადაც განმცხადებელი ახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც, ამ კანონის თანახმად, მის რეგისტრაციას საჭიროებს, ან თავს აჩვენებს ან წარმოაჩენს ამ საქმიანობის განმახორციელებლად ან თანხმდება აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაზე, ასევე შესაბამის ინფორმაციას იმ მოცულობით, რამდენადაც ასეთი პირი ექვემდებარება რომელიმე უცხო ქვეყნის ხელისუფლების, უცხოური პოლიტიკური პარტიის ან სხვა უცხოური პრინციპალის მიერ ფლობას, ზედამხედველობას, კონტროლს, მართვას, დაფინანსებას ან სუბსიდირებას მთლიანად ან ნაწილობრივ; არსებობის შემთხვევაში – ინფორმაციას იმ შემოსავლის, შემოწირულების, ფულის ან მატერიალური ფასეულობის წარმომავლობისა და ოდენობის შესახებ, რომელიც განმცხადებელმა ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირისგან ბოლო 60 დღის განმავლობაში მიიღო. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე თითოეული ასეთი გადახდის ფორმა და დრო, გადახდის განმახორციელებელი პირის ვინაობა;

თ) დეტალურ ინფორმაციას იმ ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობის შესახებ, რომელიც განმცხადებელმა ბოლო 60 დღის განმავლობაში დახარჯა ან განკარგა იმ საქმიანობისთვის, რომელიც, ამ კანონის თანახმად, მის რეგისტრაციას საჭიროებს და რომელიც მან განახორციელა, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, თავისთვის ან/და სხვა პირისთვის, ან სხვა საქმიანობისთვის, რომელიც მას უცხოური პრინციპალის აგენტად ხდის;

აგრეთვე დეტალურ ინფორმაციას მის მიერ ბოლო 60 დღის განმავლობაში ფულადი შენატანის ან/და სხვა მატერიალური ფასეულობის სახით განხორციელებული შემოწირულების შესახებ (გარდა იმ შემოწირულებისა, რომლის განხორციელებაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით), რომელიც რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირის არჩევნებს ან პოლიტიკური თანამდებობის პირის კანდიდატურის შესარჩევად გამართულ პრაიმერს, კონფერენციას ან ყრილობას უკავშირდება;

ი) თითოეული წერილობითი შეთანხმების ასლს და ზეპირი შეთანხმებით გათვალისწინებულ წესებსა და პირობებს, მათ შორის, ასეთ შეთანხმებებში შეტანილ ცვლილებებს, ხოლო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში – სრულ ინფორმაციას იმ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა გარემოების შესახებ, რომელსაც განმცხადებელი ახორციელებს ან რომლის განმახორციელებლადაც თავს აჩვენებს ან წარმოაჩენს ან რომლის თავისთვის, უცხოური პრინციპალისთვის ან იმ სხვა პირისთვის (გარდა უცხოური პრიციპალისა) განხორციელებაზე თანხმდება, რომელიც განმცხადებელს ავალდებულებს, დარეგისტრირდეს ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

კ) ყველა სხვა ინფორმაციას ან დოკუმენტს, რომელიც ამ კანონის მიზნებთან არის დაკავშირებული და შესაძლებელია პერიოდულად მოითხოვოს ანტიკორუფციულმა ბიურომ ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე;

ლ) ინფორმაციას, დოკუმენტების ასლებსა და დამატებით დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა რეგისტრაციის განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტის წარმოსაჩენად.

2. უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელმაც შეავსო რეგისტრაციის განცხადება ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებულია ყოველი 6 თვის გასვლის შემდეგ, 30 დღის ვადაში, ფიცის ქვეშ, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი ფორმით წარუდგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს ის ინფორმაცია, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს, რათა ინფორმაცია იყოს ზუსტი, სრულყოფილი და უახლესი იმ პერიოდისთვის, რომელსაც ის აღწერს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“ ან „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმცხადებელმა ანტიკორუფციულ ბიუროს 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს ნებისმიერი ცვლილების შესახებ. ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია მოითხოვოს რეგისტრაციის განცხადებისთვის დართულ დამატებით დოკუმენტებში ყველა საკითხის ან კონკრეტული საკითხების თაობაზე ინფორმაციის უფრო ხშირად შეტანა, თუ იგი ამას, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კანონის მიზნების განსახორციელებლად საჭიროდ მიიჩნევს.

3. რეგისტრაციის განცხადება და დამატებითი დოკუმენტები ფიცის ქვეშ უნდა იქნეს წარდგენილი. ფიზიკური პირი დოკუმენტაციას თავად ავსებს. თუ განმცხადებელი პარტნიორთა ჯგუფია, დოკუმენტაციას ავსებს მისი წევრების უმრავლესობა. თუ პირი არ არის არც ფიზიკური პირი და არც პარტნიორთა ჯგუფი, დოკუმენტაციას ავსებს მისი მმართველების, ხელმძღვანელების, დირექტორთა საბჭოს წევრების ან მათი ფუნქციებისა და მოვალეობების შემსრულებელი პირების (მათი არსებობის შემთხვევაში) უმრავლესობა.

4. რეგისტრაციის განცხადების ან დამატებითი დოკუმენტების შევსება და წარდგენა არ ნიშნავს იმას, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია აუცილებლად და სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ამასთანავე, ეს არ უნდა აღიქმებოდეს ისე, რომ ანტიკორუფციული ბიურო განმცხადებელს დამატებით დოკუმენტაციას არ მოსთხოვს. რეგისტრაციის განცხადების შევსება არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით რეგისტრაციის განცხადების ან დამატებითი დოკუმენტების შესაბამის ვადებში განზრახ არასათანადოდ შევსებისთვის, არსებითი ფაქტების განზრახ გაყალბებისთვის, ისეთი ფაქტების გამოტოვებისთვის, რომლებიც რეგისტრაციის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, ისეთი მატერიალური მტკიცებულების განზრახ წარუდგენლობისთვის ან ისეთი მატერიალური დოკუმენტის ასლის წარუდგენლობისთვის, რომლის წარდგენაც აუცილებელია რეგისტრაციის განცხადებისთვის.

5. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ამ კანონის შესაბამისად უფლებამოსილია, პირის ფუნქციებიდან ან საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით დაადგინოს, რომ რეგისტრაცია ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ამ კანონის მიზნების განსახორციელებლად შეიძლება აუცილებელი არ იყოს, და დაუშვას შემდეგი გამონაკლისები:

ა) რეგისტრაციის ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს პირი, რომელიც ამავე კანონის შესაბამისად შევსებულ უცხოური პრინციპალის აგენტის რეგისტრაციის განცხადებაში მოხსენიებულია, როგორც პარტნიორი, მმართველი, დირექტორი ან თანამშრომელი;

ბ) ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისგან გაათავისუფლოს უცხოური პრინციპალის აგენტი.

6. ამ მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის განცხადება ან/და დამატებითი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად, აგრეთვე იმ დამატებითი ფორმატებით, რომლებიც შეიძლება ანტიკორუფციულმა ბიურომ მოითხოვოს.

## მუხლი 3.

### გამონაკლისები

ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ უცხოური პრინციპალის აგენტებზე:

ა) დიპლომატიურ და საკონსულო თანამდებობის პირებზე (მოხელეებზე) – შესაბამისი წესის დაცვით აკრედიტებულ, უცხო ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელ, დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, რომლებიც აღიარებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, – მაშინ, როდესაც ეს პირები (მოხელეები) ექსკლუზიურად არიან ჩართული ისეთ საქმიანობაში და ასრულებენ ისეთ ფუნქციებს (უფლება-მოვალეობებს), რომელიც/რომლებიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთანავე, აღნიშნული საქმიანობა მათ ფუნქციებს (უფლება-მოვალეობებს) შეესაბამება;

ბ) უცხო ქვეყნის ხელისუფლების თანამდებობის პირზე – თუ ეს ხელისუფლება აღიარებულია საქართველოს მიერ და აღნიშნული თანამდებობის პირი იმავდროულად არ არის საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი ან საქართველოს მოქალაქე, მისი სახელის, სტატუსისა და საქმიანობის ხასიათის შესახებ ინფორმაცია დარეგულირებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და იგი ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღიარებულ ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც თანამდებობის პირის ფუნქციებს შეესაბამება;

გ) დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირების (მოხელეების) პერსონალზე – პერსონალის წევრზე ან სხვა ფიზიკურ პირზე, რომელიც დასაქმებულია უცხო ქვეყნის ხელისუფლების სათანადოდ აკრედიტებულ დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში და იმავდროულად ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღიარებულ ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც თანამდებობის პირის ფუნქციებს მიეკუთვნება, გარდა საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩევლისა, სარეკლამო აგენტისა ან საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლისა, რომლის სახელის, სტატუსისა და საქმიანობის ხასიათის შესახებ ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციაა და რომელიც ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აღიარებულ ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც თანამდებობის პირის ფუნქციებს შეესაბამება;

დ) კერძო და არაპოლიტიკურ საქმიანობასთან, სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით – ნებისმიერ პირზე, რომელიც ჩართულია ან თანხმდება, ჩაერთოს მხოლოდ შემდეგ საქმიანობაში:

დ.ა) კერძო და არაპოლიტიკურ საქმიანობაში, უცხოურ პრინციპალთან კეთილსინდისიერი ვაჭრობის განსავითარებლად;

დ.ბ) საქმიანობაში, რომელიც უპირატესად არ ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს;

დ.გ) საქმიანობაში, რომელიც გულისხმობს ადამიანების ტანჯვის შესამსუბუქებლად საქართველოში ფინანსური რესურსებისა და სხვა სახის შემოწირულებების შეგროვებას მხოლოდ სამედიცინო და ჰუმანიტარული ან ტანსაცმლისა და საკვების შეგროვების მიზნით, თუ ეს საქმიანობა გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და არ ეწინააღმდეგება მათ. ამასთანავე, ის უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ჩამოყალიბებული წესებიდან და პროცედურებიდან;

ე) რელიგიურ, სასწავლო ან სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით – ნებისმიერ პირზე, რომელიც თანხმდება, განახორციელოს ან რომელიც ახორციელებს მხოლოდ ისეთ კეთილსინდისიერ საქმიანობას, როგორიცაა რელიგიური, საქველმოქმედო, აკადემიური, სამეცნიერო ან სახელოვნებო საქმიანობა;

ვ) საქართველოს თავდაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვან უცხო ქვეყნის მთავრობის დაცვასთან დაკავშირებით:

ვ.ა) ნებისმიერ პირზე ან მის თანამშრომელზე, რომლის უცხოური პრინციპალი არის იმ უცხო ქვეყნის მთავრობა, რომლის დაცვა, საქართველოს მთავრობის აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისთვის. ასეთი პირი ან მისი თანამშრომელი გათავისუფლებულია რეგისტრაციის ვალდებულებისგან, თუ:

ვ.ა.ა) იგი ახორციელებს მხოლოდ ისეთ საქმიანობას, რომელიც ემსახურება როგორც აღნიშნული უცხო ქვეყნის მთავრობის, ისე საქართველოს მთავრობის პოლიტიკას, საჯარო ინტერესებს ან ეროვნულ უსაფრთხოებას და მიმართული არ არის საქართველოს მთავრობის საშინაო ან საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ;

ვ.ა.ბ) ყველა კომუნიკაცია ან განცხადება, რომელიც ამ პირმა ან მისმა თანამშრომელმა განახორციელა ან გააკეთა, ან რომელსაც იგი მიზნად ისახავს, ან რომლის მიმართაც იგი საფუძვლიანად ვარაუდობს, რომ ის გავრცელდება ან ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მოსახლეობის რომელიმე ნაწილისთვის, აღნიშნული საქმიანობის ნაწილია, ამასთანავე, ითვლება, რომ ეს განცხადება სიმართლეა და რომ ის ზუსტია, და მასში მითითებულია, რომ ეს პირი უცხოური პრინციპალის აგენტია;

ვ.ა.გ) აღნიშნული უცხო ქვეყნის მთავრობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს აწვდის ამ პირის ან მისი თანამშრომლის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს გადაეცემა და მის მიერ განსაზღვრული ვადით ინახება;

ვ.ბ) ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია, საჯარო ინტერესისა და ეროვნული უსაფრთხოების გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობით ან მისი მოთხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი;

ზ) საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელ პირზე, რომელიც საქართველოს სასამართლოების ან ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების წინაშე ახორციელებს უცხოური პრინციპალის წარმომადგენლობას, – იმ პირობით, რომ ამ კანონის მიზნებისთვის სამართლებრივი წარმომადგენლობა არ მოიცავს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებაზე გავლენის მოხდენის ან მისი პერსონალის ან თანამდებობის პირების დარწმუნებას, გარდა მართლმსაჯულების წარმოებისა, სისხლის სამართლის პროცესის ან სამოქალაქო პროცესის აღსრულებისა, გამოძიების მსვლელობისა და სამართალწარმოების პერიოდისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა მათი სათანადო ფორმით განხორციელება;

თ) უცხოური პრინციპალის აგენტზე, რომელიც არის ამ კანონის პირველი მუხლის „ბ.ბ“ ან „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი აგენტი, – თუ იგი ჩართულია ლობისტურ საქმიანობაში და დარეგისტრირებულია ლობისტად „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 4.
## პოლიტიკური პროპაგანდის დახარისხება/კატეგორიებად დაყოფა

1. საქართველოში მყოფმა ყველა იმ პირმა, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტია და ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის თანახმად, უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად რაიმე საინფორმაციო მასალის ფოსტით ან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ან საგარეო ვაჭრობის საშუალებების ან სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, ნაბეჭდი მასალის ან ისეთი ფორმით გავრცელებისას, რომელიც გულისხმობს, რომ ის გავრცელდება ან გონივრულ ფარგლებში ივარაუდება, რომ გავრცელდება ორ ან ორზე მეტ პირს შორის, ანტიკორუფციულ ბიუროს ამ საინფორმაციო მასალის გავრცელებიდან არაუგვიანეს 48 საათისა მისი 2 ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს.

2. უკანონოა საქართველოში მყოფი იმ პირის მიერ, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტია და ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის შესაბამისად, უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით რაიმე საინფორმაციო მასალის საფოსტო გზავნილის სახით ან შიდა ან საერთაშორისო ვაჭრობის რომელიმე სხვა საშუალების გამოყენებით გავრცელება, თუ ამ საინფორმაციო მასალაში თვალსაჩინოდ მითითებული არ არის, რომ ეს საინფორმაციო მასალა უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ უცხოური პრინციპალის სახელით არის გავრცელებული და დამატებითი ინფორმაცია ანტიკორუფციულ ბიუროშია დაცული. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია ამ კანონის მიზნებისთვის განსაზღვროს ტერმინი „თვალსაჩინო“.

3. ამ კანონით მოთხოვნილი საინფორმაციო მასალის ასლი, რომელიც ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა წარედგინოს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო მონიტორინგის განსახორციელებლად.

4. უკანონოა საქართველოში მყოფი იმ პირის მიერ, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტია და ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებისთვის ან თანამდებობის პირისთვის უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად პოლიტიკური პროპაგანდის შემცველი ინფორმაციის მიწოდება ან მის მიერ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებისგან ან თანამდებობის პირისგან ნებისმიერი ინფორმაციის ან კონსულტაციის მიღება, რომელიც ეხება პოლიტიკურ ან საჯარო ინტერესებს, პოლიტიკას ან უცხო ქვეყნის ან პოლიტიკური პარტიის ურთიერთობებს, აგრეთვე უკავშირდება საქართველოს საგარეო ან საშინაო პოლიტიკას, თუ პოლიტიკური პროპაგანდის შემცველი ინფორმაციის მიწოდების ან ინფორმაციის ან კონსულტაციის მიღების მოთხოვნას არ ერთვის ან წამძღვარებული არ აქვს თვალსაჩინო და ზუსტი განცხადება იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირი ამ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია უცხოური პრინციპალის აგენტად.

5. თუ უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელიც ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის/დროებითი საგამოძიებო კომისიის ან სხვა დროებითი კომისიის წინაშე გამოდის, მან საქართველოს პარლამენტის კომიტეტს/დროებით საგამოძიებო კომისიას ან სხვა დროებით კომისიას უნდა წარუდგინოს თავისი უახლესი რეგისტრაციის განცხადება, რომელიც ამ პირმა, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინა. ეს უნდა დაფიქსირდეს საქართველოს პარლამენტის კომიტეტის/დროებითი საგამოძიებო კომისიის ან სხვა დროებითი კომისიის ოქმში, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტის გამოსვლის ნაწილი.

## მუხლი 5.
## დოკუმენტები და ჩანაწერები

ამ კანონის საფუძველზე რეგისტრირებული უცხოური პრინციპალის აგენტი ვალდებულია აგენტობის პერიოდში შეინახოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ის ფინანსური ანგარიში და სხვა ჩანაწერი, რომელთა წარდგენაც სავალდებულოა ამ კანონის შესაბამისად. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია პირისთვის უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის აღსასრულებლად დადგენილი რეგულაციებით განსაზღვროს აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის წესი. ამ რეგულაციების ძალაში შესვლამდე უცხოური პრინციპალის აგენტი ვალდებულია აწარმოოს ამავე კანონით განსაზღვრული ფინანსური დოკუმენტაცია და შეინახოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი ჩანაწერი. ეს დოკუმენტაცია და ჩანაწერები ნებისმიერ გონივრულ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი ორგანოსთვის. ამ კანონით გათვალისწინებული შესანახი დოკუმენტების მიზანმიმართული დამალვა, განადგურება, წაშლა, მნიშვნელოვნად დაზიანება ან გაყალბება ან ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა უკანონო ქმედებად ითვლება.

## მუხლი 6.
## ოფიციალური ჩანაწერების საჯარო მონიტორინგის განხორციელება, ჩანაწერებისა და ინფორმაციის გადაცემა

1. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა მუდმივად უნდა შეინახოს ამ კანონის შესაბამისად მიწოდებული უცხოური პრინციპალის აგენტის ყველა რეგისტრაციის განცხადების თითო ეგზემპლარი. ეს ეგზემპლარები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო მონიტორინგის (შემოწმების) განსახორციელებლად ანტიკორუფციული ბიუროს

იხ. 10 გვ.

(მეცხრე გვერდიდან)

უფროსის მიერ განსაზღვრულ გონივრულ დროს, მის მიერვე დადგენილი რეგულაციების ფარგლებში. აღნიშნული დოკუმენტების ასლები უნდა გადაეცეს ყველა განმცხადებელს გონივრული საფასურის გადახდის შემდეგ, რომელსაც ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი აწესებს. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს ამ კანონის თანახმად შეუძლია შეწყვიტოს იმ უცხოური პრინციპალის აგენტის რეგისტრაციის განცხადებისა და სხვა დოკუმენტების საჯარო მონიტორინგი, რომელიც გათავისუფლდა რეგისტრაციის განცხადების წარდგენის ვალდებულებისგან.

2. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რეგისტრაციის განცხადების მიღებისთანავე, აგრეთვე შემდგომ ყოველი რეგისტრაციის განცხადებისა და დამატებითი დოკუმენტების მიღებისთანავე მათი ასლები უნდა გადასცეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ისეთი ფორმით გამოსაყენებლად და ისეთი კომენტარების გასაკეთებლად, რომელსაც/რომლებსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს საგარეო ურთიერთობების გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნევს. ამ კანონის საფუძველზე ანტიკორუფციული ბიუროს მიერ აღნიშნული ასლების საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გადაუცემლობა/გადაცემის შეუძლებლობა არ უნდა გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შემზღუდველი ფაქტორი.

3. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებს მიაწოდოს ამ კანონის ადმინისტრირებისას მის მიერ მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, რეგისტრირებული პირების სახელები, რეგისტრაციის განცხადებების ასლები, მათი ნაწილები ან სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც განისაზღვრება ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

4. რეგისტრაციის განცხადებებისა და განახლებების შემცველი საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

ა) არსებობდეს საზოგადოებისთვის ინტერნეტით ხელმისაწვდომი, ძებნის, დახარისხებისა და გადმოწერის ფუნქციების მქონე, არსებული ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში გამართული, უფასო ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ამ კანონის შესაბამისად წარდგენილი რეგისტრაციის განცხადებებისა და განახლებების შესახებ ინფორმაციას, რომლის მოძებნა, დალაგება და დახარისხება შესაძლებელია სულ მცირე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების კატეგორიების მიხედვით;

ბ) ამ კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ელექტრონულად წარდგენილი თითოეული რეგისტრაციის განცხადება და განახლება საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტით, წარდგენის შემდეგ გონივრულ ვადაში.

## მუხლი 7.
## უცხოური პრინციპალის მიერ დასაქმებული პირის პასუხისმგებლობა

იმ უცხოური პრინციპალის აგენტის, რომელიც ფიზიკური პირი არ არის, თითოეული ხელმძღვანელი, მმართველი ან ხელმძღვანელის ან/და მმართველის ფუნქციების შემსრულებელი პირი ვალდებულია წარადგინოს უცხოური პრინციპალის აგენტის რეგისტრაციის განცხადება და დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით. ამასთანავე, იგი ვალდებულია შეასრულოს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-5 მუხლის მოთხოვნები და ამავე კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. თავის მხრივ, იმ ორგანიზაციის დაშლა, რომელიც მოქმედებს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი, არ გამოიწვევს მისი ხელმძღვანელის, მმართველის ან ხელმძღვანელის ან/და მმართველის ფუნქციების შემსრულებელი პირის იმ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რომელიც გულისხმობს ამ კანონით განსაზღვრული დოკუმენტაციის შევსებას. უცხოური პრინციპალის აგენტის, ნებისმიერი ხელმძღვანელის, მმართველის ან ხელმძღვანელის ან/და მმართველის ფუნქციების შემსრულებელი პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

## მუხლი 8.
## კანონის აღსრულება და სანქცია 1. პირი, რომელიც:

ა) განზრახ დაარღვევს ამ კანონის რომელიმე ნორმას (მუხლს, პუნქტს ან ქვეპუნქტს);

ბ) ნებისმიერ რეგისტრაციის განცხადებაში, დამატებით დოკუმენტში ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტში, რომელსაც ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგენს ან მიაწვდის ამ კანონის შესაბამისად, განზრახ შეიტანს არსებითი ფაქტის შესახებ მცდარ ინფორმაციას ან განზრახ გამოტოვებს ნებისმიერ ფაქტს ან არ წარადგენს იმ დოკუმენტების ასლებს, რომლებიც მასში მითითებული უნდა იყოს, – ისჯება ჯარიმით არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2, მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის დარღვევისთვის ან ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტის დარღვევისთვის პირი ისჯება ჯარიმით არაუმეტეს 5 000 ლარის ოდენობით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით არაუმეტეს ექვსი თვისა.

2. უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურის საზღვარგარეთ განხორციელებისას უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ უცხოური პრინციპალის ვინაობის გამჟღავნება ნებადართულია, მაგრამ აუცილებელი არ არის.

3. თუ უცხოელს მსჯავრი დაედება ამ კანონის რომელიმე ნორმის დარღვევისთვის ან გამოაშკარავდება მისი მცდელობა, დაარღვიოს ამ კანონით გათვალისწინებული რეგულაცია, იგი გაძევებული იქნება საქართველოდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. იმ რეგისტრაციის განცხადების ან დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობა, რომელიც/რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ითვლება დენად დანაშაულად მანამ, სანამ იარსებებს, იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა სხვა კანონს, და მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

5. თუ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის აზრით, პირი ჩართულია ან აპირებს ჩაერთოს ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც არღვევს ამ კანონის რომელიმე ნორმას ან ამ კანონის საფუძველზე დაწესებულ რეგულაციას, ან თუ უცხოური პრინციპალის აგენტი არ ასრულებს ამავე კანონით გათვალისწინებულ რეგულაციას, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს. სასამართლო ამ პირს დაავალდებულებს, შეწყვიტოს აღნიშნული ქმედება ან უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსით მოქმედება, ან მოითხოვს ამ კანონის ან ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი შესაბამისი რეგულაციის შესრულებას. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს აქვს იურისდიქცია და უფლებამოსილება, გამოიტანოს ისეთი დროებითი ან მუდმივი განჩინება ან გადაწყვეტილება, რომელსაც იგი სათანადოდ მიიჩნევს.

6. თუ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი დაადგენს, რომ რეგისტრაციის განცხადება არ შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს ან ამ კანონით დაწესებულ რეგულაციებს, იგი ამის შესახებ წერილობით აცნობებს განმცხადებელს და მას რეგისტრაციის განცხადების ხარვეზზე მიუთითებს. პირის მიერ უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსით მოქმედება უკანონოდ ჩაითვლება შესაბამისი შეტყობინების მიღების დღიდან 10 დღის ან 10 დღეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, იმის მიუხედავად, წარდგენილი იქნება თუ არა შესწორებული რეგისტრაციის განცხადება, რომელიც ამ კანონის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება, და შესრულებული იქნება თუ არა რეგულაციები.

7. უკანონოა უცხოური პრინციპალის აგენტის უცხოურ პრინციპალთან დადებული ისეთი ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარედ დაფიქსირება (მიუხედავად იმისა, ეს ღიად არის გამოხატული თუ ნაგულისხმებია), რომლის თანახმად, უცხოური პრინციპალის აგენტის ანაზღაურების, ხელფასის ან სხვა სახის მატერიალური სიკეთის ოდენობა ან მისი მიღება სრულად ან ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მის მიერ განხორციელებული პოლიტიკური საქმიანობის წარმატებაზე.

## მუხლი 9.
## წესები და რეგულაციები

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაადგინოს, შეასწოროს, შეცვალოს და გააუქმოს ის წესები და რეგულაციები, რომლებსაც იგი ამ კანონის აღსასრულებლად საჭიროდ მიიჩნევს.

## მუხლი 10.
## ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ყოველ 6 თვეში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ამ კანონის აღსრულების შესახებ ანგარიშს, მათ შორის, უცხოური პრინციპალის აგენტების მიერ გავლილი რეგისტრაციის სათანადო რეგულაციებთან შესაბამისობის თაობაზე ინფორმაციას და გავრცელებული პოლიტიკური პროპაგანდის ხასიათის, წყაროებისა და შინაარსის შესახებ ანგარიშს.

## მუხლი 11.
## კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

**მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი, 1 აპრილი, 2025 წ.

N399-IIმს-XIმპ

# საქართველოს კანონი
# უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

საქართველოს რესპუბლიკა



# „...და მეც უნდა გავიქართლო, უნდა გავიკახეთო!..“

**მეშინია, რამე კომპლიმენტი არ წამომცდეს და ამით ადრესატიც და კიდევ უამრავი ჩვენი თანამედროვე „გამოჩენილი“, „დიდებული“ და „გენიალური“ ქართველი „მოღვაწე“ არ გავაღიზიანო. ამიტომ ვიტყვი უბრალოდ და მოკრძალებით: 2025 წლის 8 ივნისს თანამედროვე ქართველ პოეტს, შესანიშნავ ადამიანს, უანგარო მეგობარს და ოჯახის კაცს ბადრი ცირამუას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.**

უახლოეს დღეებში ქართული პოეზიის თაყვანისმცემლებს დიდი სიხარული ელოდებათ – **ბადრი ცირამუას** ლექსების კრებული „სხივების კონა“. ეს პოეტის მეორე სოლიდური კრებულია. პირველი – „პოეტური მონოლოგები“ – ათი წლის წინათ გამოვიდა და ვამაყობ, რომ მისი რედაქტორობის პატივი მერგო.

ზოგადად ლიტერატურაზე, მით უფრო, პოეზიაზე მსჯელობა თვით გამოცდილი, პროფესიონალი ლიტერატურის კრიტიკოსისთვისაც კი რთული და სახიფათო საქმეა – ძალიან დიდია იმის ალბათობა, სიტყვათა კორიანტელმა გაგიტაცოს და, საბოლოოდ, ავი და კარგი ერთმანეთისგან ვერ გაარჩიო. რაც მთავარია, თითქმის შეუძლებელია პოეტის ჩანაფიქრის, მხატვრული ინტერპრეტაციების სრულად და უტყუარად გათავისება. იმის თქმა მინდა, რომ პოეტის „დიდობა“, „გამოჩენილობა“ და „გენიალურობა“ დრომ უნდა გამოაჩინოს. სავსებით შესაძლებელია, დღევანდელი ათეულობით პოეტური ტომეულის ამბიციური ავტორი ხვალინდელმა თაობამ არარაობად მიიჩნიოს. ვინმე მოკრძალებული, ჩრდილში მდგომი უცნობი კი ხვალ მართლაც „დიდებულად“, „ბრწყინვალედ“ და „გენიალურად“ აღიაროს.

შორს რომ არ წავიდეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გიორგი ნაფეტვარიძე, მიხო ხელაშვილი, ტერენტი გრანელი... თვით გოდერძი ჩოხელი და ნუგზარ შატაიძეც კი ამის ბრწყინვალე და მრავლისმთქმელი მაგალითებია.

პოეტებით განებივრებული დღევანდელი საქართველოდან მომავალ საქართველოში მარადიულ სასუფეველს ბევრი დაიმკვიდრებს. დარწმუნებული ვარ, ერთი მათგანი ბადრი ცირამუაც იქნება. აი, თუნდაც ამ სიტყვების ავტორი ბადრი ცირამუა:

**„სიტყვას თურმე უამრავი ფერი აქვს და სახეცო,**
**და მეც უნდა გავიქართლო, უნდა გავიკახეთო!**
**თქვენთან ისევ ძვირფასებო, თქვენთან უნდა ვეძებო,**
**მისი ფერი და სურნელი ჯავახებო, მესხებო;**
**თქვენთან, ტკბილო მეგრელებო, იმერლებო, სვანებო,**
**უნდა ვნახო მისი ლაღი, ჭეშმარიტი სამეფო!..**
**თქვენთან როგორ ატისკრდება, როგორ ატიმტიმდება,**
**როგორ გამოცაბრწყინდება, როგორ აგიზგიზდება:**
**როგორ მოგემზიანება, მოგეალავერდება,**
**როგორ მოგეცისმარება სიტყვა: ლოცვა – ვედრება...**

ლოგიკურად აქ უნდა დამემთავრებინა, მაგრამ მინდა თქვენი ყურადღება ერთ უცნაურობაზე შევაჩერო. ბედნიერი ვიქნები და ბოდიშსაც სიამოვნებით მოვიხდი, თუ ვინმე პატივს დამდებს და დამისაბუთებს, რომ მართალი არა ვარ.

სამწუხაროდ, ეს არ ეხება მხოლოდ ბადრი ცირამუას – ეს თითქმის ყველა თანამედროვე შემოქმედს ეხება. ვგულისხმობ დამოუკიდებელი საქართველოს უკლებლივ ყველა ხელისუფლების უყურადღებობას, ზოგადად, ინტელიგენციისა და, კერძოდ, ქართული მხატვრული ლიტერატურის უანგარო მსახურებისადმი!

მივესალმები, ძალიან ვაფასებ და მიხარია, რომ ხელისუფლება დიდ ყურადღებას იჩენს – ორდენებით, მედლებით, ფულით აჯილდოებს მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებს, პოლიციის თანამშრომლებს, სამხედრო პირებს, მომღერალთა ანსამბლებს... ოღონდ, არ ვიცი, რა დავარქვა იმ საქციელს, რომ ქართული ხელისუფლების მხრიდან არავითარი (არავითარი!) ყურადღება ქართველ მწერლებსა და პოეტებს!

მეტი რომ არაფერი, უბრალოდ, გასაოცარია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ხელები დაიბანა და თანამედროვე ქართული ლიტერატურა ხაზარაძის „საბას“ იმედად მიატოვა.

ღატაკი ლიტერატორების ფინანსურ უზრუნველყოფაზე კი არა, უბრალოდ, ადამიანურ ყურადღებაზე ვლაპარაკობ – კაცს, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სამშობლოს, ხალხს, ენას, ლიტერატურას უანგაროდ რომ ემსახურა, – ხომ შეიძლება ვინმე რიგითმა მენეჯერმა დაურეკოს და რაიონის გამგეობის სახელით იუბილე მიულოცოს.

ამას ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე ვამბობ, თორემ ამით არცერთ ქართველ მწერალს ბევრი არაფერი შეემატება.



**კიდევ ერთხელ მოგესალმები და დაბადების დღეს გილოცავ, ბადრი! დარწმუნებული იყავი, ხვალინდელი საქართველო უეჭველად დააფასებს შენს ღვაწლს ქართული ლიტერატურის წინაშე!**

**თეიმურაზ ქორიძე,**
08. 06. 2025

## რედაქციისგან:

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია „გამოცაბრწყინებით“ ულოცავს შესანიშნავ პოეტს, პუბლიცისტს, ჟურნალისტსა და, უბრალოდ, უკეთილშობილეს ადამიანს ბადრი ცირამუას დაბადების დღეს... მხნედ, სულით და ხორცით ლამაზო კოლხო!**

# არ დავუშვათ სამოქალაქო ომი!

**სოციალისტური, გნებავთ, პროლეტარული რევოლუციის აჩრდილი კი არ დაძრწის დღეს საქართველოში, არამედ გვიახლოვდება უფრო სასტიკი და დაუნდობელი სამოქალაქო ომი, იმაზე დამანგრეველი და ყოვლისმომცველი, ვიდრე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს მოხდა.**

ქვეყნის პატრიოტებმა, უპირველესად, ინჟინრებმა, აგრონომებმა, მუშებმა, გლეხებმა, დარგის სპეციალისტებმა, მათ, ვინც მატერიალური წარმოების სფეროში არიან დასაქმებულები, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ არ გადაიქცეს საქართველოს მიწა-წყალი დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების არენად ჩვენი პოლიტიკოს-პოლიტიკანების აქტიური მონაწილეობით.

მოვლენების ასეთი განვითარება თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროდ მოგვაჩნია შეწყდეს დაპირისპირება პოლიციასთან. პოლიციის განყოფილებებს თავს რომ ესხმოდნენ, იარაღს რომ ართმევდნენ და საბოლოოდ ხელი რომ ააღებინეს მოვალეობის შესრულებაზე, იმიტომ განვითარდა 90-იანი წლების განუკითხაობა და მივიღეთ სამოქალაქო ომი.

ჩვენი შვილები, რომლებიც გაუთავებელ მიტინგებში მონაწილეობენ, ან ციხეში სასჯელს იხდიან, სხვადასხვა პარტიებში გაერთიანებულები, კრიტიკულ ვითარებაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და ხელისუფლებაში მოსვლისთვის ან რაღაც გასამრჯელოსთვის, ერთმანეთის სისხლს დაღვრიან. ამ სისხლისღვრას შეწირული შვილების დედები, შავებით შემოსილნი, კვლავ გამოვლენ პარლამენტის შენობის წინ სასოწარკვეთილი მოთხოვნით – „დაისაჯონ ჩვენი შვილების მკვლელები“!

**ყოველივე ეს ერთხელ უკვე ხომ მოხდა. იმ ტრაგედიის დაუნახაობა შეიძლება?! არა! არა! არა!**

დღეს საქართველოში მხოლოდ ერთ საკითხში არ არის დაპირისპირება: პოზიცია და ოპოზიცია, ახალგაზრდები და ხელოვნების წარმომადგენლები ლანძღავენ და აგინებენ რუსეთს. მიმდინარეობს რუსეთის დემონიზაცია ჩვენი დასავლეთელი „მეგობრების“ მოთხოვნით. რაც ვერ შეძლეს გუშინ, შეეცდებიან, განახორციელონ უახლოეს მომავალში. როგორც ჩანს, კონსტიტუციაში ჩაწერილი კანონი, ერებს შორის შუღლის გაღვივების დაუშვებლობის შესახებ, ქვეყნის სამართალდამცველებისათვის არ არსებობს.

XXI საუკუნის დასაწყისში ევროპაში მოეწყო გამოკითხვა თემაზე – ქვეყნების განვითარებაში რომელმა იდეოლოგიამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა წყობამ, იქონია ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა?!

გამოკითხულთა უმრავლესობამ უპირატესობა მარქსიზმს მიანიჭა. შეიძლება, არ გინდა, არსებობდეს მარქსიზმი, არც სოციალისტური წყობის დროს მონაპოვარს არ ცნობდე, მაგრამ, როცა ხელისუფლებაში მოდიხარ, თუნდაც კანონიერი გზით და გინდა რადიკალურად შეცვალო ქვეყნის განვითარება, ხომ ხარ ვალდებული, რომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომ ხალხს დაეკითხო შენი გეგმების შესახებ.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩვენს ქვეყანას „ეროვნულებმა“ თავს დაატეხეს შიმშილი, სიბნელე, სამოქალაქო ომი და მანეთებში აღრიცხული ჩვენი ხალხის ქონების განიავება.

21-ე საუკუნის დასაწყისში, უცხო სახელმწიფოების მიერ დაპროგრამებულმა „ლიდერებმა“ ახლად მიღებული კონსტიტუციის დარღვევით, განუსაზღვრელი ოდენობით უცხოური კაპიტალის შემოტანით, გაყიდეს ქვეყნის მეტად მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ობიექტები, დაუშვეს ფასების არნახული ზრდა და ქვეყნის მოსახლეობის ზღვარდაუდებელი მიგრაციული პროცესი.

**კვლავ დღის წესრიგში დგას სამოქალაქო ომი.**

**ჩვენი ქვეყნის მოქალაქენო, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სიკეთე აქტიური არ არის, ის გოროტებად, გოროტების ხელშემწყობად გადაიქცევა.**

**რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ არ უნდა დავუშვათ სამოქალაქო ომი ჩვენს ქვეყანაში!**



**ნუგზარ კობახიძე,**
დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში,
593 74 82 53

# მეგრელთა საქმე

## ალეკო ასლანიშვილი



### გენერლის კრახი

მკითხველს გენერალ პაველ სუდოპლატოვის საინტერესო მოგონება უნდა გავაცნო:

**„1951 თუ 1952 წელს იგნატიევმა თბილისში წასვლა მიბრძანა. უნდა შემეფასებინა ადგილობრივი სადაზვერვო სამსახურის შესაძლებლობა და დავხმარებოდი მას პარიზში ქართველ მენშევიკთა ლიდერების, ბერიას ცოლის ნინო გეგეჭკორის ნათესავების მოტაცების მომზადებაში. შედეგი პირადად იგნატიევისთვის უნდა მომეხსენებინა. მაცნობეს, რომ ამ ოპერაციის ჩატარების ინიციატივა თბილისიდან, გენერალ რუხაძისგან მოდიოდა და თვით სტალინმა მოიწონა. რუხაძე დაჟინებით მოითხოვდა, ოპერაცია ქართველ აგენტებს ჩაეტარებინათ. იგი საგანგებოდ ჩამოფრინდა მოსკოვში და ეს იდეა იგნატიევს გააცნო. იმან, რაც თბილისში ვნახე, პირდაპირ შემძრა. ერთადერთი უნარიანი, საფრანგეთში კარგი კავშირების მქონე აგენტი გეგელია ციხეში იჯდა ჯაშუშობისა და მეგრულ ნაციონალიზმში ბრალდებით. რუხაძის აგენტების ნდობა არ შეიძლებოდა, მათ ჩემთან რუსულად დალაპარაკებაზეც კი უარი თქვეს (პ. სუდოპლატოვს, ალბათ, იმის თქმა უნდა, რომ მათ რუსული ხეირიანად არ იცოდნენ-ა.ა.). რუხაძის მოადგილე, რომელიც პარიზში გამგზავრებას გეგმავდა, არასოდეს ნამყოფი არ იყო საზღვარგარეთ (ლაპარაკი უნდა იყოს ალექსი ბერიშვილზე – ა.ა.). იგი დარწმუნებული იყო, თუ ქართველ ემიგრანტებს სამწვადეს და ერთ კალათა ღვინოს ჩაუტანდა, ქეიფს მოაწყობდა პარიზის ყველაზე ცნობილ რესტორანში, მათს კეთილგანწყობას მოიპოვებდა. იყო აგრეთვე პარიზში კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის გაგზავნის წინადადება, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ამგვარი გრანდიოზული გეგმები ნიღბავდა რუხაძის სურვილს, პარიზში თავისი ცოლი გაეგზავნა. ეს ქალი მორიდებული ადამიანი და კარგი მომღერალი იყო (რუხაძის ცოლი ტატიანა დუნენკო მომღერალი კი არა, საოპერო კონცერტმაისტერი გახლდათ – ა.ა.), მაგრამ დელეგაციაში მხოლოდ თბილისის კონსერვატორია შეეძლო წარმოედგინა. ქმრის გეგმებზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. ამასობაში მოსკოველმა გამომძიებლებმა, რომლებიც „მეგრელთა საქმეს“ სწავლობდნენ, რუხაძეს ახარეს, თითქმის უკვე დავადგინეთ კავშირი ბერიას ოჯახსა და დაპატიმრებულ ნაციონალისტებს შორისო. რუხაძის კაბინეტში, მინის ქვეშ, ახალგაზრდა ბერიას – მისი მოსისხლე მტრის სურათი შევნიშნე. რუხაძე, სტალინისთვის რომ ეამებინა, ტყავიდან ძვრებოდა, ჯერ სადაზვერვო სამსახურიდან ბერიას ყოფილ ხელქვეითთათვის, შემდეგ კი მისთვის სახელის გასატეხად. რუხაძის „სამოყვარულო“ ავანტიურიზმმა შემაშინა და სასწრაფოდ დავბრუნდი მოსკოვში, რათა ყველაფერი იგნატიევისათვის მომეხსენებინა. მან და მისმა პირველმა მოადგილემ ოგოლცოვმა ყურადღებით მომისმინეს, მაგრამ შენიშნეს, ამ საქმეზე დასკვნების გამოტანა ჩვენი საქმე არ არის, „ინსტანციის“ საქმეა, რადგან რუხაძე პირადად აწარმოებს სტალინთან ქართულ ენაზე მიმოწერასო (– ა.ა.).**

**მაგრამ სტალინი უკვე ხვდებოდა, რომ რუხაძე და რიუმინი საშიში გახდნენ: იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ მიეღწიათ ღალატის აღიარებისათვის, ისინი გამოძიების პროცესში დიდ ინტერესს იჩენდნენ პარტიულ და სამთავრობო ზედაფენებში ინტრიგებისადმი. 1946-1951 წლებში სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ვიქტორ აბაკუმოვი 1951 წლის ივლისიდან იყო დაპატიმრებული. დახვრიტეს 1954 წლის დეკემბერში. 1952 წლის 11 ოქტომბერს ბერიას და მალენკოვს ციხიდან წერდა, რომ რიუმინი დაინტერესებული იყო შინა ურთიერთობებით პოლიტბიუროში, იყენებდა ინფორმაციებს სრულიად საიდუმლო მოხსენებითი ბარათებიდან, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სტალინს უგზავნიდა.**

**სტალინმა გადაწყვიტა მსხვერპლად შეეწირა რიუმინი და რუხაძე. რუხაძე მალე ლეფორტოვოს ციხეში ჩასვეს, რიუმინი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მოხსნეს და 1952 წლის ნოემბერში ორგანოებიდან დაითხოვეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ იგი დააპატიმრეს, მაგრამ სტალინი ცოცხალი რომც ყოფილიყო, მას მაინც მოსპობდა“,** – დაასკვნის **პ. სუდოპლატოვი.**



გენერალი პაველ სუდოპლატოვი

* * *

**ქართველი ინტელიგენცია, როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმის პირველივე დღიდან „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ ბუდედ გამოცხადდა და მის, როგორც „მტრული ძალის“, წინააღმდეგ უმკაცრესი ღონისძიებები ხორციელდებოდა.**

საბჭოთა წყობილების პირველ ოცწლეულში საქართველოს ინტელიგენციის მძლავრი „წმენდა“ მოხდა, რასაც ათასობით სიცოცხლე შეეწირა. მან ომის წლებშიც მძიმე დანაკლისი განიცადა. 1946 წლიდან ქართველი ინტელიგენციის მიმართ ეჭვი კვლავ წინა პლანზე დადგა.

1951 წლის ბოლოსთვის ფარულად მომზადდა ინტელიგენციის შუა აზიაში მასობრივი გადასახლება. ამ აქციისთვი რუსეთიდან საგანგებოდ მოიწვიეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფები. გადასახლებას დაექვემდებარა ყველა ოჯახი, რომლის წევრიც ტყვედ იყო ნამყოფი 1941-1945 წლების ომში ან ნათესაურად იყო დაკავშირებული უცხოეთის ქართულ ემიგრაციასთან. თბილისში, ქუთაიში, სოხუმში, ბათუმში სარკინიგზო ეშელონები ჩააყენს. მანამდე კი, 1951 წლის 16 ნოემბერს, სკპ(ბ) ცკ-მა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის „წინადადების საფუძველზე“ (მკითხველი მიხვდება, თუ როგორ „წარედგინებოდა“ ასეთი წინადადებები ცენტრს: მოსოვიდან იგზავნებოდა მზა ტექსტი, რომელიც შენი სახელით შენს წინადადებად უნდა გაეგზავნა უკან!), ი. სტალინმა პირდაპირი მითითებით მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 1951 წლის 29 ნოემბერს ამავე სახელწოდებით მიიღეს საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებაც, რომლითაც სანქცია მიეცა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ წარდგენილ წინადადებებს გასახლების წესების და პრინციპების შესახებ.

გაასახლეს 11200 მოქალაქე (ისტორიკოსები აკაკი და პაატა სურგულაძეები 20000 კაცს ასახელებენ), სახელდახელოდ, წინასწარ შეუტყობინებლად, მოუმზადებლად შეყარეს ვაგონებში. ხალხს, უმრავლეს შემთხვევაში სრულიად უდანაშაულოს, ფაქტობრივად, ქუჩაში სტაცებდნენ ხელს და ასახლებდნენ, თითქმის ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე. ბევრი ხანდაზმული მამულიშვილი მგზავრობას შეეწირა (გზაშივე გარდაიცვალა და სადღაც ტრამალში დაკრძალეს თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ემიგრაციიდან დაბრუნდა ნანატრ სამშობლოში). ქართველობა ჩაასახლეს ყაზახეთის „მშიერი უდაბნოს“ საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების მუშებად. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა უცხო მიწაში.

ეს ორი ავბედითი აქცია – „მეგრელთა საქმე“ და „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლება“ ხილული და უხილავი ძაფებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული: ყოფილ ქართველ ემიგრანტთა რეპრესიები „მეგრელ ნაციონალისტთა საქმის“ ფალსიფიცირებით დაიწყო. სქემა ერთობ მარტივი იყო – საქართველოს „მეგრელი ნაციონალისტების“ დაკავშირება რეემიგრანტებსა და საზღვარგარეთ მყოფ მეგრელ ემიგრანტებთან. ბევრი ვარაუდობს, რომ ამ ავანტიურის საბოლოო მიზანი მის იდეურ სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად ლავრენტი ბერიას გამოცხადება და მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება იყო.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილე **გელა სულაძე** ასეთ ეპიზოდს გვაცნობს: ნ. რუხაძემ ი. სტალინს მოახსენა: ძიების პროცესში გამოვლენილი ფაქტები ღაღადებენ, რომ საქმე მხოლოდ ზოგიერთი გახრწნილი ხელმძღვანელის მექრთამეობით არ შემოიფარგლება. ხაზინის ქურდთა და მექრთამეთა ჯგუფს, ცკ-ის მეორე მდივნის ბარამიას ხელმძღვანელობით, შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებდა – ისინი სამეგრელოს ავტონომიაზე საუბრობდნენ... დაპატიმრებულებმა აღიარეს, რომ უწყვეტი კონტაქტები ჰქონდათ საზღვარგარეთულ მენშევიკურ ცენტრთანო“. სტალინი თურმე მდუმარედ ისმენდა მინისტრის ინფორმაციას, შემდეგ ჯიქურ შეუხედავს ნ. რუხაძისთვის: „ვშიშობ, ქართველ ჩეკისტებს გაუჭირდებათ ამ საქმეში დამოუკიდებლად გარკვევა. ამ დღეებში ძიებაში ლუბიანკის გამოცდილ მუშაკთა ჯგუფი ჩაერთვება“.

მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ვერც ლუბიანკელმა სპეცებმა (ცეპკოვის ჯგუფი) მოახერხეს იმის დამტკიცება, რასაც ნ. რუხაძე ავანსად მოახსენებდა ი. სტალინს, რადგან ასეთი აღიარება („სამეგრელოს ავტონომიაზე საუბარი“, “უწყვეტი კავშირი საზღვრგარეთის მენშევიკურ ცენტრთან“) არც ამ მოხსენებამდე და არც შემდეგ, როცა ნ. რუხაძე მოხსნეს და გამოძიების კონტროლი, თვით ბელადის ინიციატივით, სსრკ უშიშროების მინისტრის მოადგილეს ოგოლცოვს დაევალა, ვერავის დააცდენინეს.

***მიზნობრივი გადახვევა.*** ვარაუდს, რომ „მეგრელ ნაციონალისტთა“ დაკავშირება რეემიგრანტებსა და საზღვარგარეთ მყოფ მეგრელ ემიგრანტებთან გამიზნული იყო ბერიას მოსაცილებლად, თავისებური გაგრძელება ჰქონდა. ცნობილია, რომ ბერიას (ან მის ორეულს, ეს საქმის არსს არ ცვლის) სასამართლოზე ერთ-ერთ ბრალდებად “კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციასთან დანაშაულებრივი კავშირი“ წაუყენეს (ისე, მრავალ ნამდვილთან ერთად, უამრავი აბსურდული ცოდვაც აჰკიდეს).

ამონაწერი „„ბერიას, გოგლიძისა და სხვათა საბრალდებო დასკვნიდან“:

***„კონტრდაზვერვაში ჯაშუშური მუშაობის დროიდან, სამშობლოს მოღალატე ბერია თავის გამცემლურ საქმიანობაში კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციაზე ჩადიოდა ფსონს. თავის მხრივ კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაცია ხოტბას ასხამდა ბერიას, მასზე ამყარებდა იმედებს.***

***ბერიასადმი ქართული ემიგრაციის დამოკიდებულებას ადასტურებს ჩვენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან განსაკუთრებულ დავალებათა მოხელის ემელიან ლომთათიძისა, რომელიც 1945 წელს პრაღაში დააპატიმრა საბჭოთა კონტრდაზვერვამ და ამჟამად მსჯავრდადებულია.***

***წინასწარ ძიების დროს დაკითხულმა ლომთათიძემ უჩვენა:***

***„ნოე ჟორდანიას, საბჭოთა საქართველოში მყოფი თავისი ემისრების საშუალებით, აგრეთვე, კერძო წერილებით, რომლებიც 1937 წელს მიუვიდა საქართველოდან, ჰქონდა ცნობები, რომ ლ. პ. ბერია, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა მოძრაობას საქართველოში. იქაური მრავალრიცხოვანი წყარო დაბეჯითებით ატყობინებდა, რომ ლ. პ.***

გაგრძელება.
დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-80



ინტელიგენციის გადასახლება შუა აზიაში, 1950-იანი წლები

*ბერია ნაბიჯებს დგამდა პირადად მისი ერთგული ქართველი კომუნისტების გასაერთიანებლად საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველ მენშევიკებთან, აგრეთვე, საბჭოთა წყობით უკმაყოფილო სხვა ელემენტებთან...*

*დამახასიათებელია, რომ ემიგრანტი მენშევიკები და სხვები მეგრელთა რიცხვიდან, ყოველთვის ხიშტით ხვდებოდნენ ბერიას გაკრიტიკების ცდას. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტული მეგრული წრეები აღმერთებდნენ ბერიას".*

*საქმის მასალებით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაცია ქმნიდა ბერიას კულტს, მიიჩნევდა მონათესავე ბურჟუაზიულ ნაციონალისტად, მზად იყო მხარი დაეჭირა მისთვის, თუ ბერია კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდა.*

*თავის მხრივ ბერია, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა, აქტიურად დაპირისპირებოდა საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობას, არა თუ არ აკეთებდა ამას, პირიქით, შლიდა დაგეგმილ ღონისძიებებს... იგი წინსწარგანზრახულად არ წარმართავდა არავითარ აქტიურ მუშაობას კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ, ემიგრაციის ლიდერებთან კავშირის დასამყარებლად არაერთგზის გაგზავნა საზღვარგარეთ თავისი ემისრები. იგი პირადად ამყარებდა კონტაქტს საბჭოთა კავშირში შემოგზავნილ ქართველ ემიგრანტთა ლიდერების აგენტებთან, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ დაზვერვასთან იყვნენ დაკავშირებული.*

*...ამ საქმის ძიებისას მიკვლეულია უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ბერიას მჭიდრო საიდუმლო კონტაქტს კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაციის მეთაურებთან.*

*...ამრიგად, საქმის მასლებით მტკიცდება, რომ ბერიას მუდმივი დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციასთან. იფარავდა მათ განადგურებისგან და, თავის მხრივ, სარგებლობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოებთან დაკავშირებული რეაქციული ემიგრაციული წრეების მხარდაჭერით".*

ემელიან ლომთათიძემ, რომელსაც 1946 წელს 10 წელი მიესაჯა (ბედნიერი შემთხვევის წყალობით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში მივაკვლიე ე. ლომთათიძის „საქმეს"), ბერიას შესახებ ჩვენება თავისი საქმის ძიებისას კი არ მისცა (ვერც გამომძიებელი და ვერც პატიმარი იმ დროს – 1946 წელს ამის გულში გავლებასაც კი ვერ გაბედავდნენ, ასეთი რამ მის საქაღალდეში საერთოდ არ არის – ლ. ბერია მაშინ სსრკ შინაგან საქმეთა სახკომი იყო!), არამედ მოგვიანებით, როცა დამხობილი ლავრენტის სასამართლო პროცესს ამზადებდნენ. ამას, არაპირდაპირად, ადასტურებს 1954 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მალენკოვისადმი მიწერილი ე. ლომთათიძის თხოვნა შეწყალების შესახებ.

რა რეალური საფუძველი ედო მის განცხადებას, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ისე, არც დაგვიანებული შურისძიება და სანაცვლოდ შეწყალების მიღების იმედია გამორიცხული. მაგრამ, „მავრმა თავისი საქმე გააკეთა" და... ემელიან ლომთათიძე 1955 წელს გარდაიცვალა ვლადიმირის ციხეში.

(გაგრძელება იქნება)

**ანონსი:**

16 ივნისის ნომერში იხილეთ–

**„მეგრელთა საქმე"**

**კომკავშირის დარბევა**



# ვინ მოკლა ალბერტ აინშტაინის ნათესავები?

**1944 წლის აგვისტოში იტალიაში ალბერტ აინშტაინის ნათესავები მოკლეს. მაგრამ ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაული დღემდე გაუხსნელია. ახლახანს ბრიტანელმა ჟურნალისტმა აღმოაჩინა მანამდე უცნობი კინოკადრები, რომლებიც დამნაშავეების შესახებ ინფორმაციას შეიცავს.**

ფლორენციის მახლობლად მდებარე ვილა ფოკარდო – 80 წელზე ცოტა მეტი ხნის წინ ვერმახტის ჯარისკაცებმა აქ სამი ქალი მოკლეს. ისინი ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსის ალბერტ აინშტაინის ნათესავები იყვნენ. **„ამის მიზეზი იყო სიძულვილი, ოჯახის მიმართ. და კიდევ ის, რომ ებრაული ოჯახი იყო"**, – დარწმუნებულია ცოცხალი მოწმე ფრანკო ჯორჯეტი. ის 13 წლის იყო, როდესაც მკვლელობები მოხდა. ვილაში, დანაშაულის ადგილზე, ის ერთი დღის შემდეგ შევიდა. **„ყველაფერი დალეწილი იყო(...) იატაკზე დიდ, სისხლის ლაქაში სისის ქერა თმა დავინახე".**

## „ისე ახლოს, როგორც არასდროს"

**მკვლელებს და დანაშაულის მოწმეებს გამომძიებლები ათწლეულების განმავლობაში ეძებდნენ. რამდენიმე წლის წინ გავარიაში სასამართლო პროცესი გაიმართა, მაგრამ მალევე შეწყდა, რადგან სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიყვანა, მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო, შეუძლებელი გახდა. დღემდე არავინ არის დასჯილი და არც მკვლელები არიან იდენტიფიცირებულები.**

ბრიტანელი ჟურნალისტი, თომას ჰარდინგი ამ დანაშაულს წლების განმავლობაში იძიებს. მან ამის შესახებ წიგნიც დაწერა. მისი ებრაული ოჯახი ბერლინიდანაა, დიდი ბაბუა კი ალბერტ აინშტაინის ექიმი იყო. **„გერმანელები, იტალიელები და ამერიკელები 80 წლის განმავლობაში ცდილობდნენ ეპოვათ პასუხი, თუ ვინ იყვნენ მკვლელები. და ახლა, როგორც არასდროს, ამასთან ახლოს ვართ"**, – განმარტავს ის პოლიტიკურ ჟურნალ „კონტროვერსთან" საუბრისას.

## ალბერტი აშშ-ში მიდის – რობერტი იტალიაში ცხოვრობს

**ალბერტ აინშტაინი, მრავალი წლის განმავლობაში, მიუნხენში, ადლზრაიტერშტრასეზე ცხოვრობდა. ის იქ თავის ბიძაშვილ რობერტთან ერთად გაიზარდა.**

ისინი ძმებივით იყვნენ. სანამ გენიოსი ფიზიკოსი 1933 წელს აშშ-ში წავიდოდა, რათა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ფული შეეგროვებინა, რობერტი, წლების განმავლობაში, იტალიაში მშვიდად ცხოვრობდა მეუღლე ნინასთან, ორ ქალიშვილთან და ორ ნაშვილებ ქალიშვილთან ერთად.

## შურისძიება ცოლსა და ქალიშვილებზე

**1944 წლის ზაფხულში მოკავშირეები იტალიის ჩრდილოეთისკენ მიიწევდნენ. ფრონტის ხაზი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული ვილა ფოკარდოდან – სახლიდან, რომელშიც რობერტ აინშტაინი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.**

ის ებრაელი იყო, მისი ცოლი და შვილები კი – ქრისტიანები. ამიტომ მას სჯერა, რომ ქალები საფრთხეში არ იყვნენ და მიმდებარე ტყეში მარტო იმალებოდა – იმ იმედით, რომ ომი მალე დასრულდებოდა.

მაგრამ 1944 წლის 3 აგვისტოს გერმანელი ჯარისკაცები კარს ამტვრევენ, სახლში ძალადობრივად შედიან და ითხოვენ პასუხს კითხვაზე, სად არის რობერტი. ნინას და მის ორ ქალიშვილს, ლუსი და სისი აინშტაინებს, ადგილზე ხვრეტენ. ვილის კედლებზე არსებული ტყვიების ნაკვალევი ამ დანაშაულის უტყვი მოწმეა.

## მიგვიყვანს კინოკადრები მკვლელებამდე?

**ლონდონში არსებულ საიმპერიო სამხედრო მუზეუმში თომას ჰარდინგმა ახლახანს მანამდე უცნობი კინოკადრები აღმოაჩინა.**

**„ეს კადრები შეიძლება ამ საშინელი სისასტიკის პირველი მტკიცებულება იყოს"**, – ეუბნება ის „კონტროვერსს". ჰარდინგი დარწმუნებულია, რომ მკვლელობა იყო ალბერტ აინშტაინის ოჯახის წინააღმდეგ მიმართული „ვენდეტა", ნაციონალ-სოციალისტების შურისძიების აქტი.

**ისტორიული ფოტოები ასახავს გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც, როგორც სამხედრო ტყვეები, ვილიდან არც თუ ისე შორს, ინკონტროს მონასტერში დააკავეს. არიან თუ არა ეს ჯარისკაცები ალბერტ აინშტაინის ნათესავების მკვლელები? თომას ჰარდინგი ახალი მტკიცებულებების მოძიებას აპირებს. რობერტ აინშტაინი ნაცისტების სისასტიკეს გადაურჩა. მაგრამ 1945 წლის ივლისში, მისი მეუღლისა და ორი ქალიშვილის მკვლელობიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში, მან ვილა ფოკარდოში სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა – თავი მოიკლა.**

# ოკეანეში დაკარგულები,

## ანუ საოცარი ამბავი საბჭოთა ჯარისკაცებისა, რომლებიც ამერიკელებმა გადაარჩინეს

**ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, მძაფრსიუჟეტიანი წიგნის ან ფილმის სცენარს კი ჰგავს, მაგრამ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მართლა მოხდა. ცივი ომის დროს, საბჭოთა კავშირისთვის, კურილის კუნძულებს, იაპონიასთან სიახლოვის გამო, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.**

კუნძულებზე საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზები იყო განლაგებული, რომელთა მომარაგება ბორნებით ხდებოდა. კურილების ერთ-ერთ კუნძულზე, იტრუპზე, გადაზიდვებს ბორანი T-36 აწარმოებდა, რომელიც ღრმა წყლებში მანევრირებასა და დიდ მანძილებზე ტვირთის გადაზიდვაზე არ იყო გათვლილი. ამიტომ, ბორნის ეკიპაჟი პროფესიონალი მეზღვაურები კი არა, რიგითი ჯარისკაცები იყვნენ. 1960 წლის ზამთარი იდგა. ბორნის ეკიპაჟი ოთხი კაცისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: 21 წლის უმცროსი სერჟანტი სათათრეთიდან ასხატ ზიგანშინი, ორი უკრაინელი რიგითი, ფილიპ პოპლავსკი და ანატოლი კრიუჩკოვსკი, და რუსი ჯარისკაცი ივან ფედოტოვი. 17 იანვარს კუნძულ იტრუპს თავს საშინელი ტაიფუნი დაატყდა, რომლის მოახლოების შესახებ, ბორან T-36-ის ეკიპაჟი არავინ არ გააფრთხილა. დილის 9 საათზე, ძლიერმა შტორმმა ბორანი ბაგირებიდან მოგლიჯა და, ეკიპაჟთან ერთად ზღვაში გაიტაცა. ტალღების სიმაღლე 15 მეტრს აღწევდა. შტორმი ამ

პატარა ბორანს, როგორც პატარა სათამაშოს, ისე ისროდა იქითაქეთ. უამინდობამ გემის რაცია დააზიანა. ეკიპაჟი, თითქმის ათი საათის განმავლობაში ებრძოდა სტიქიას, რომ ბორანი გადაერჩინა. ამასობაში, შტორმმა ბორანი ღია ოკეანეში გაიტაცა. საწვავისა და კავშირის გარეშე დარჩენილმა ჯარისკაცებმა, თავი რომ გადაერჩინათ, საკ-



ვებისა და წყლის დაზოგვა დაიწყეს. შტორმის დროს, სასმელი წყლის მთავარი ავზი დაიცალა, ამიტომ, ეკიპაჟმა ბორანის ძრავის გამაგრილებელი სისტემის წყლის გამოყენება დაიწყო, რომელსაც ჟანგის გემო დაჰკრავდა, და რომ არ მოწამლულიყვნენ, წვიმის წყლის შეგროვება დაიწყეს. ორი კვირის შემდეგ, საკვების მარაგი რომ ამოიწურა, მათ ყველაფრის ჭამა დაიწყეს, რაც იქმეოდა. ჯერ, კარტოფილის ნაფცქვენებიდან სუფის გაკეთება მოახერხეს. შემდეგ, საპონსა და კბილის ფხვნილს მიადგნენ. ბოლოს კი, ტყავის ქამრებისა და ჩექმებისგან ამზადებდნენ საკვებს. მათ ქამრები და ჩექმები წვრილ-წვრილად დაჭრეს, ზღვის წყალში მოხარშეს და შეწვეს. კურილის კუნძულების სამხედრო ბაზამ ბორნის ძებნა გამოაცხადა, რომელშიც, საბჭოთა კავშირის წყნარი ოკეანის მთელი ფლოტი ჩაება, მაგრამ დაკარგული ბორნის მიგნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ვერავის წარმოედგინა, რომ შტორმი ბორანს საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა, კარგა შორს გაიტაცებდა. ძებნას ერთი გარემოებაც ართულებდა: მაშინ, ორი დაპირისპირებული სახელმწიფოს ფლოტი, წყნარ ოკეანეში, სამხედრო წვრთნებს

ატარებდა. შესაბამისად, ოკეანის წყლების ზოგი ზონა დახურულად იყო გამოცხადებული. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ოფიციალურად არ აღიარებდა, რომ ბორანი ეკიპაჟთან ერთად დაიკარგა. ძებნიდან რამდენიმე დღეში, საბჭოთა გენერალიტეტმა მიიჩნია, რომ ბორანი ჩაიძირა და ძებნა შეწყვიტა. მეორმოცე დღეს ბორანის ეკიპაჟმა შორ მანძილზე გემი შენიშნა, მაგრამ სასიგნალო საშუალებათა არქონის გამო, გემმა ბორანს ისე ჩაუარა, ყურადღებაც არ მიაქცია. მშიერ-მწყურვალმა და სასოწარკვეთილმა ეკიპაჟმა შველის სათხოვი და გამოსამშვიდობებელი წერილები დაწერა, ბოთლებში ჩადო და ზღვაში გადაყარა. მალე, შიმშილისა და წყურვილის გამო, ჯარისკაცებს ჰალუცინაციები დაეწყოთ. 7 მარტს, ბორანს თვითმფრინავმა გადაუფრინა. ეს ამერიკის ავიამზიდის, USS-Kearsage, მზვერავი თვითმფრინავი იყო, რომელიც მიმდებარე აკვატორიას ათვალიერებდა. მან ბორანი შენიშნა და სიგნალი გემს გადასცა. მალე, ავიამზიდი ბორანს მიუახლოვდა და ეკიპაჟი დაღუპვისგან იხსნა. ამერიკელებმა საბჭოთა ჯარისკაცებს ყოველმხრივი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და დააპურეს. აღფრთოვანებული იყვნენ საბჭოთა ჯარისკაცების ქცევით. მშიერ-მწყურვალნი, სიკვდილთან პირისპირ მყოფნი, ველურებად კი არ იქცნენ, ყველა ადამიანური თვისება შეინარჩუნეს. გადარჩენილი საბჭოთა ეკიპაჟის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. ავიამზიდი მალე სან-ფრანცისკოში ჩავიდა, სადაც გადარჩენილ ეკიპაჟს თბილი შეხვედრა მოუწყეს. სან-ფრანცისკოს მერმა საბჭოთა ჯარისკაცები დააჯილდოვა და ქალაქ სან-ფრანცისკოს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა. როგორც ეკიპაჟი მოგვიანებით იხსენებდა, ისინი ამერიკულმა ხელგაშლილობამ გააოცა. მაშინ ამ ორი ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთის მტრებად ითვლებოდნენ. ეკიპაჟი სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკში გადაფრინდა, სადაც საბჭოთა ელჩს შეხვდა. რადგან ექიმებმა ჯარისკაცებს ხანგრძლივი ფრენა აუკრძალეს, გადაწყდა, სამშობლოში გემით დაბრუნებულიყვნენ. შინ დაბრუნებულებს, როგორც გმირებს, ისე დახვდნენ.

**საბჭოთა ხელმძღვანელობამ ეკიპაჟი ორდენებით დააჯილდოვა. ასე დამთავრდა ეს საოცარი ამბავი.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**


სტუმარ-მასპინძელი

# ღირსების ფორუმი

**მაშ ასე – 20-30 ივლისს თბილისი საუკუნის ფორუმს უმასპინძლებს 160-მდე ქვეყნის 1800 სპორტსმენის მონაწილეობით!**

საუბარია ხმლით, რაპირითა და დაშნით ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომლისთვისაც აღნიშნული ვაჟკაცური სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ საპრიზო ფონდის სახით მილიონი დოლარი(!) ისტორიაში პირველად გამოყო.

ზეიდ ფერიანი – **აღნიშნული სტრუქტურის წესების კომისიის პრეზიდენტი და შეჯიბრებების დირექტორი:** აქ 6 თვის წინათაც ვიყავი ოფიციალური ვიზიტით. გაწეული მუშაობისთვის დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს მთავრობას, პირადად სპორტის მინისტრს **შალვა გოგოლაძეს**, თქვენი ფედერაციის თავკაცს **მერაბ ბაზაძეს,** რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს. ამჟამად დეტალებს ვაზუსტებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატი ჩავატაროთ. თბილისი მსოფლიოს ფარიკაობის დედაქალაქია და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მუნდიალის მასპინძლობის უფლება მას იმიტომ მისცეს, რომ სპორტის ამ სახეობაში უდიდესი ისტორიის გარდა ეს ქალაქი გამოირჩევა უნიკალური გარემოთი, რომელიც ყველას მოსწონს. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ აქ ფარიკაობისთვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურაა მოწყობილი და ყველას სწორედ აქ სურს ჩამოსვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ უმაღლესი რანგის ტურნირის გაშუქების სურვილი უკვე გამოთქვეს აშშ-ის, იაპონიისა და კორეის წამყვანმა მედიასაშუალებებმა.

**მერაბ ბაზაძე** – ძალიან დაძაბული და ცხელი ივლისი გვექნება, მაგრამ მწამს, რომ მთავრობის დახმარებით თავს ყველაფერს წარმატებით გავართმევთ. სასიამოვნოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენი სამშობლოს ცნობადობას გაზრდის და ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

## მოვლენის შემდეგ

### ჯო როგანი: „არ ვიცი, არსებობს თუ არა რაიმე გეგმა, რომელიც მერაბ დვალიშვილის წინააღმდეგ იბრძოლებს“



UFC-ის კომენტატორმა **ჯო როგანმა მერაბ დვალიშვილისა** და **შონ ო'მალის** ბრძოლის შემდეგ კომენტარი გააკეთა. მან მერაბის მომდევნო ჩხუბზე ისაუბრა, რომელიც შესაძლოა კორი სენდჰეგენთან გამართოს.

**„მერაბმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სუპერმსუბუქი წონის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლია. მისი მომდევნო მოწინააღმდეგე შესაძლოა სენდჰეგენი იყოს. ის ჭკვიანი ბიჭია, რომელიც აუცილებლად შეიმუშავებს გეგმას, მაგრამ არ ვიცი არსებობს თუ არა რაიმე გეგმა, რომელიც „მანქანის“ წინააღმდეგ იბრძოლებს. მერაბი ყოველთვის ამბობს, რომ მისი კარდიო დაუღალავი შრომის შედეგია, თუმცა ვფიქრობ ეს უბრალოდ ნიჭია.“** – განაცხადა **ჯო როგანმა.**

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილმა საჩემპიონო ქამარი წარმატებით მეორედ დაიცვა. შონ ო'მალთან ბრძოლის შემდეგ ქართველმა განაცხადა, რომ შემდეგი კორი სენდჰეგენი უნდა იყოს, რადგან ამ მომენტისთვის ყველაზე მეტად ამას სწორედ ის იმსახურებს.

### დანა უაითი: „დვალიშვილი ქვემსუბუქ წონაში ყველა დროის საუკეთესოა“

UFC 316-ზე **მერაბ დვალიშვილის** გამარჯვებას ორგანიზაციის პრეზიდენტი გამოეხმაურა. მან თქვა, რომ ქართველი „მანქანა“ ქვემსუბუქ წონაში ყველა დროის საუკეთესო მებრძოლია.

**„გზა მერაბის დასამარცხებლად? ამაზე პასუხი არ მაქვს. შონ ო'მალი ფიზიკურად და მენტალურად მომზადებული იყო, თუმცა დვალიშვილმა ის დაააფინიშა. ქართველი თავის წონაში ყველა დროის საუკეთესოა. ვფიქრობ, უმართან რემატჩი საინტერესო იქნებოდა.**

**ეს არ ნიშნავს, რომ შემდეგი ჩხუბი მერაბს არა სენდჰეგენთან, არამედ ნურმაგომედოვთან ექნება. დვალიშვილს სურს, რომ 2025 წელს ქამარი ორჯერ დაიცვას და მე წინააღმდეგი არ ვარ. რაც შეეხება ომალის, მან უნდა დაისვენოს და გადაწყვიტოს, რა გეგმები აქვს“,** – თქვა **დანა უაითმა.**

# მერე რა, რომ სპარინგია

**ივნისის სპარინგები იმითაცაა აღსანიშნავი, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ქუთაისში დაბრუნდა და რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე მესამე შეხვედრა გამართა.**

ისევე, როგორც 3 დღის წინათ ფარერებთან, **ვილი სანიოლმა** ამჯერადაც უახლოეს რეზერვს მისცა შანსი, მაგრამ მათგანაც კი ასეთ უსუსურ თამაშს მაინც არ ველოდით. რას ვიზამთ – ჯერაც შორს ვართ იმ ფუფუნებისგან, რომ **კვარაცხელიას, კაშიას, ქოჩორაშვილის, ჩაკვეტაძის, მიქაუტაძის, დავითაშვილის, კიტეიშვილისა** და **კაკაბაძის** არყოფნაში თავი ღირსეულად მათმა შემცვლელებმა წარმოაჩინონ. საბედნიეროდ, არის გამონაკლისიც – კაბო ვერდესთან პარტნიორთაგან საუკეთესო მეკარე **გუგეშაშვილი** გახლდათ, რომელიც ვიმედოვნებთ სერიოზულ კონკურენციას გაუწევს **მამარდაშვილს,** რაც ჩვენ გუნდს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს.

**საქართველო – კაბო ვერდე 1:1**

**პირველი ტაიმი 1:0**

**გოლები:** ლობჟანიძე; მენდეში (პენალტით).

**მსაჯი:** ს. ნალბანდიანი (სომხეთი).

ასე რომ, დაგვეწყო საზაფხულო არდადეგები, 4 და 7 სექტემბერს კი მუნდიალის შესარჩევ რაუნდში თურქეთსა და ბულგარეთს ვუმასპინძლებთ.

**ამასობაში** ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი შუა აზიაში მოხდა, სადაც თურქი მესხების შთამომავლის – **თემურ კაპაძის** გაწვრთნილმა უზბეკეთის ნაკრებმა ისტორიაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.


თემურ კაპაძის ტრიუმფი

43 წლის ჩვენი თანამემამულე ფერგანაში დაიბადა და დამოუკიდებელი უზბეკური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა. იქაური ნაკრების ნახევარმცველმა 119 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა, კარიერის განმავლობაში კი ადგილობრივ, ყაზახურ, კორეულ და საამიროების კლუბებში თამაშობდა.

**დღეიდან** კი ქართველ ქომაგებს 21-წლამდელთა ნაკრების გულშემატკივრობა მოუწევთ, რომელიც სლოვაკურ ტრენჩინსა და ჟილინაში ევროპის ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ ჩაებმება. **რამაზ სვანაძის** გაწვრთნილ ჯვაროსანთა პირველი მეტოქენი მათი პოლონელი თანატოლები იქნებიან (პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ 23 საათიდან). სხვათა შორის, ბუკმეკერებმა ჩვენი გუნდისთვის დამამცირებელი ფსონებით, ვფიქრობთ ბიჭებს მოტივაცია კიდევ უფრო აუმაღლეს. 14 ივნისს ფრანგებს ვხვდებით, 17-ში კი პორტუგალიელებს.

**ხანმოკლე** შვებულების შემდეგ საქმეში **ხვიჩა კვარაცხელიასაც** ვიხილავთ. მას შემდეგ, რაც კანში იგი და **ზურიკო დავითაშვილი** ოჯახური დასვენების დროს გაქურდეს, პარი სენ-ჟერმენი ტრავმირებული დემბელეს გარეშე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში 15 ივნისს 23 საათზე მადრიდის ატლეტიკოსთან გამართავს, 20-ში ბოტაფოგოს შეხვდება და 23-ში სიეტლს.

საქართველოს ნაკრების ლიდერთან დაკავშირებით პსჟ-ს პრეზიდენტმა **ნასერ ელ-ხელაიფიმ** აქამდე უცნობი ფაქტი გააჟღერა. როგორც ირკვევა, მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გამგზავრებამდე ჩატარებულ ბოლო ვარჯიშზე კვარას თანაგუნდელთან შეჯახების შემდეგ მძიმე დაზიანება მიუღია, მაგრამ საბედნიეროდ მოტეხილობას გადაურჩა...

**ერთა ლიგა.** ფინალი. პორტუგალია – ესპანეთი 2:2 (პენალტებით – 5:3). ეს პორტუგალიელთა მეორე ტრიუმფია, **კრიშტიანუ რონალდუმ** კი 138-ე სანაკრებო ბურთი გაიტანა.

# „ეთერის არია“– უკვე მეოთხედ!

**შარშანდელი** სეზონის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი სსჟა-ს წევრთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით 140 ხმით მეოთხედ(!) გახდა 25 წლის **ეთერ ლიპარტელიანი.**



შეგახსენებთ, რომ იგი უკვე გახლავთ ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, შერეულ გუნდურ ბრძოლაში კონტინენტის ორგზის ჩემპიონი და მუნდიალის ბრინჯაოს მედალოსანი, აგრეთვე პლანეტის და ევროპის ახალგაზრდული ფორუმების გვირგვინოსანი.

სულ გამოკითხვაში ჩვენი 75 კოლეგა მონაწილეობდა, გამარჯვებული კი სსჟა-ს პრეზიდენტმა **გიგა გვენცაძემ** და ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა **თამარ ბალავაძემ** დააჯილდოვეს.

დავძენთ, რომ 92 ხმით მეორე ადგილი ფიგურისტმა **ანასტასია გუბანოვამ** დაიკავა, ლეგენდარულმა ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** და ძალოსანმა **ანასტასია გოტფრიდმა** კი 31-31 ხმით მესამე პოზიცია გაინაწილეს.

# ორიოდე სიტყვით

## ჭადრაკი

**მამაია (რუმინეთი).** გოგონათა და ვაჟთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი. 5-5 ასაკობრივი ჯგუფი. საქართველო – 8 მედალი. **ოქრო** – ლილე სვანიძე (9-წლამდელები), სარა სალთხუციშვილი (11-წლამდელები), გაბრიელ გაბადაძე (13-წლამდელები), ანდრია კვირიაშვილი (15-წლამდელები). **ვერცხლი** – დავით თათვიძე (13-წლამდელები), ბარბარე აშოთია (15-წლამდელები). **ბრინჯაო** – თეკლა კოღუაშვილი, ერეკლე ტაბატაძე (ორივე – 15-წლამდელები).

## ფრენბურთი

**თბილისი.** ევროპის ვერცხლის ლიგის გათამაშება. **ქალები.** მე-4 ტურის მატჩი. საქართველო – ლატვია 1:3 (25:15, 23:25, 21:25, 18:25). **მარიამ მუშკუდიანი** – 17 ქულა, **ანა კალანდაძე** – 14 ქულა, **მაგდა კობაიძე** – 13 ქულა. ჩვენი გუნდის პლეი ოფში გასვლის საკითხი 14 და 15 ივნისს ისრაელში გადაწყდება, სადაც მაკედონიასა და მასპინძლებს შევხვდებით. **ვაჟები.** შვედეთი. ჯვაროსნები აზერბაიჯანთან და მასპინძლებთან 0:3 დამარცხდნენ და 21-22 ივნისს უნგრეთში ისლანდიასა და მადიარებს ეთამაშებიან.

## წყალბურთი

**თბილისი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. I ტური. ისრაელი-შვეიცარია 23:13, საქართველო – ბულგარეთი 41:10 (10:3, 10:3, 11:2, 10:2). ყველაზე შედეგიანი. **გიორგი მაგრაქველიძე** – 6 გოლი. ბუნებრივია, ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ასეთი უპირატესობა მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. სავარაუდოდ, დაახლოებით ასეთივე სურათი იქნება მეორე ტურში შვეიცარიასთანაც.

## ჩოგბურთი

**პარიზი.** როლან გაროსი. ფინალი. **ქალები.** გაუფი (აშშ) – საბალენკა (ბელარუსი) 2:1 (6:7, 6:2, 6:4). **კაცები.** ალკარასი (ესპანეთი) – სინერი (იტალია) 3:2 (4:6, 6:7, 6:4, 7:6, 7:6). ბრძოლა 5 საათსა და 32 წუთს გაგრძელდა, რაც ხანგრძლივობით მე-2 გახლავთ გრანდ სლემების ისტორიაში ჯოკოვიჩ-ნადალის მარათონის შემდეგ 2013 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში, რომელიც სერბმა ჯადოქარმა 5 სეტში მოიგო. მანვე საფრანგეთის ღიაზე ნახევარფინალში სინერთან მარცხის შემდეგ განაცხადა: **„შესაძლოა, ეს ჩემი ბოლო კარიერული მატჩი იყოს როლან გაროსზე“.**





# საკადრო ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროში

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **თეიმურაზ კუპატაძე** დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე;

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **დავით კიკნაძე;**

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა **ვაჟა სირაძე**;

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **ლევან მაისურაძე** დაინიშნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **ლაშა გოგნიაშვილი** დაინიშნა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **თეიმურაზ კალანდაძე** დაინიშნა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა **ლევან კვიციანი**;

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **გურამ ნაცვლიშვილი** დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **რამაზ თათარაშვილი** დაინიშნა იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი **ზაზა ცხაკაია** დაინიშნა გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად;

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **კახაბერ მურადაშვილი**.

## მეჯვრისხევში თანასოფლელის მკვლელი დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში წარსულში მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით კისრის არეში დაზიანება მიაყენა ამავე სოფელში მცხოვრებ, 1978 წელს დაბადებულ ვ.ჯ.-ს. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.**

**გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“,** – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

## საქართველოდან უცხო ქვეყნის 21 მოქალაქე გააძევეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისა და სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების მჭიდრო კოორდინაციით, ბოლო დღეებში ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების ფარგლებში საქართველოდან უცხო ქვეყნის 21 მოქალაქის გაძევება განხორციელდა,** – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოდან გაძევებულ იქნა თურქეთის, რუსეთის, ეგვიპტის, ირანის, თურქმენეთის, კოლუმბიის, ჩინეთის, ინდოეთის, იორდანიისა და ნიგერიის, ჯამში, 21 მოქალაქე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი არის ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი ორგანო. მის ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან მათი გაძევება“,** – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## გამოუსწორებელ „ნარკობარიგებს“ პატიმრობა შეეფარდათ

**საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების მომზადების ფაქტებზე 7 პირს ბრალდება წარუდგინა,** – ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირები უკანონოდ ინახავდნენ სხვადასხვა რაოდენობის, მათ შორის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს და გასაღების მიზნით სხვადასხვა ლოკაციებზე ათავსებდნენ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებები: „ბუპრენორფინი“, „მეთადონი,“ „კოკაინი“ და „მარიხუანა“, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინი“. სასჯელის სახედ და ზომად მათ 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შვიდივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

## პროკურატურამ უცხო ქვეყნის ორ ნარკომანს ბრალი წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის მცდელობის ფაქტზე უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს ბრალდება წარუდგინა.**

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები უცხოეთიდან საქართველოში გამოგზავნილი, ჩაფხუტში დამალული, 476,784 გრ. ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ უკანონო შეძენას ცდილობდნენ.

**„სამართალდამცველებმა ბრალდებულები ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში დააკავეს.**

**დაკავებულებს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა”,** – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ხოცვა-ჟლეტა ავსტრიის ერთ-ერთ სკოლაში

**ავსტრიული მედიის ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით, ავსტრიის ქალაქ გრაცში, ერთ-ერთ სკოლაში სროლის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა რვამდე გაიზარდა.**

ადგილობრივი მედია თვითმხილველებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ სკოლასთან დაახლოებით 20 გასროლის ხმა გაიგეს. ამ შემზარავი ტრაგედიის მიზეზები დგინდება!

### ვატო შაქარიშვილი:

# მორიგი ტყუილი შეთხზეს და ნაფტალინიდან ამოიღეს კოტე იოსელიანი



**დიდი ხანია, კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ დღის წესრიგს ვეღარ ქმნის, პატრონიც პენსიაში გავიდა, ერთმანეთის მიყოლებით უწევთ კანონის წინაშე პასუხისგება, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხზე შიდა არეულობა აქვთ – ამ სასოწარკვეთის პირობებში რა ვქნათ, რა ვქნათო და მორიგი ერთდღიანი ტყუილი შეთხზეს,** – ამის შესახებ „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წარმომადგენელი **ვატო შაქარიშვილი** სოციალურ ქსელში წერს და კოტე იოსელიანის განცხადებას ეხმაურება.

**„იმისათვის, რომ სიცრუე ადამიანების გარკვეულ ნაწილს მაინც დააჯერონ, ცდილობენ, ის მაქსიმალურად აბსურდული შინაარსის იყოს. ნაფტალინიდან ამოიღეს კოტე იოსელიანი, რომელიც 2018 წელს მის მიერ გაკეთებული ამორალური განცხადების გამო ბოდიშს იხდის. ცხადია, ბევრს გაუჩნდა კითხვა, რატომ შეაწუხა სინდისმა (რაც არც ერთ ნაცს არ გააჩნია) 7 წლის შემდეგ ნაცმოძრაობის წევრს და ამავე პარტიის თავმჯდომარის მეუღლეს და რატომ გადაწყვიტა ღრმად მივიწყებული ამბის წამოწევა. იმიტომ, რომ ეს იყო ორსვლიანი უნიჭო და მარტივი კომბინაცია, რომლის მეორე ნაწილსაც დილიდან ვადევნებთ თვალს. დაეწყვნენ, ერთმანეთის მიყოლებით ბრიფინგებს მართავენ, მიხეილ ვივა-მედელიც გამოეხმაურა და ყვებიან ზღაპარს კოტე იოსელიანის „გატაცების“ შესახებ.**

**ალბათ სერიოზული პასუხის გაცემაც არ ღირს, რადგან ხელისგულზეა მორიგი უნიჭო სპექტაკლი, მაგრამ რამდენიმე კითხვაა, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს სიცრუის გამოაშკარავებას – თუ სამი დღის წინ გაიტაცეს და 8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ეძებდნენ, რატომ არ მიმართა სამართალდამცავ უწყებებს? არაერთხელ გვინახავს, როგორ რეკავენ კამერების თანდასწრებით პოლიციაში და როგორ აკონტროლებენ წამების სიზუსტით სამართალდამცავების მოქმედებებს. რატომ არ მოითხოვა მყისიერად სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების ამოღება და ნაცვლად ამისა, რატომ დაელოდა ორშაბათ დღეს, იმისათვის, რომ პოლიტიკური შოუ მოეწყო?**

**ვფიქრობ, რიტორიკულია ეს კითხვები, რადგან პასუხი ერთია – ეს არის მომაკვდავ რეჟიმში მყოფი კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ სასოწარკვეთის გამოძახილი“!..**

# ნუ მიატოვებთ ძაღლს უპატრონოდ!

**„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტს პარლამენტში დღეს პირველი მოსმენით განიხილავენ.**

**კანონპროექტის მიზანია ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისათვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.**

**როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ განაცხადა, ეს არის პირველი ნაბიჯი იმისთვის, რომ შეიქმნას ერთიანი მართვის სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა პატრონიანი ძაღლი უნდა დარეგისტრირდეს ელექტრონულ სისტემაში და ყველა ის დაწესებულება, სადაც ძაღლი ხვდება თავისი ცხოვრების ციკლის განმავლობაში, ვალდებული იქნება, რომ გადაამოწმოს და ისე მომსახურება არ გაუწიოს პატრონს, თუ ძაღლი არ არის დარეგისტრირებული ბაზაში.**

**„ეს არის ერთადერთი საშუალება იმისთვის, რომ სამომავლოდ პრევენციული ღონისძიებები გატარდეს და პატრონმა ძაღლი ქუჩაში არ გააგდოს. იმ შემთხვევაში, თუ პატრონი ძაღლს ქუჩაში გააგდებს, იქნება ძალიან მაღალი სანქცია. საბოლოო ჯამში, პროცესი იქნება ძალიან რთული, გამოწვევებით სავსე, თუმცა ეს არის ერთადერთი გზა, რომ ჩვენ შევაჩეროთ უკონტროლო გამრავლება. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება, რომ აიკრძალება ძაღლების გამრავლება უკონტროლო გზით“,** – აღნიშნა **მაია ბითაძემ.**





# „ეს სიმღერაა საქართველოსი“!

**„ეს სიმღერაა საქართველოსი“ – ამ სახელწოდებით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერალ თამარ გვერდწითელის სოლო კონცერტი გაიმართა.**

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ კონცერტში, რომელსაც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, მონაწილეობდნენ მომღერალი ანრი ჯოხაძე, ახალგაზრდული კაპელა მეკო ქავთარაძის ხელმძღვანელობით, დავით მაზანაშვილის ქალთა კამერული ორკესტრი და ბენდი.

**საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მინისტრის პირველი მოადგილე მაკა ბურბენიძე დაესწრნენ.**

# კონკურსი – „მშვიდობის ჯილდო“

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახალგაზრდებისთვის აცხადებს ყოველწლიურ კონკურსს „მშვიდობის ჯილდოს“ მოსაპოვებლად.**

„კონკურსი მიზნად ისახავს საქართველოს სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერებას, რაც სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მიმდინარე შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

**– კონკურსი სამ ნომინაციაში გაიმართება:**

**1. საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა;**

**2. საუკეთესო სამშვიდობო იდეა;**

**3. საუკეთესო სამშვიდობო გზავნილი.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება, განაცხადების წარმოდგენის გზით, შეუძლია 18-დან 35 წლის ჩათვლით ახალგაზრდას, ახალგაზრდების ჯგუფს ან ახალგაზრდულ ორგანიზაციას, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

**კონკურსის შედეგად თითოეულ ნომინაციაში გამოვლენილ გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით.**

კანდიდატ(ებ)ის შერჩევა მოხდება „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ გადაცემის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ. გამარჯვებული კანდიდატების გამოცხადება და დაჯილდოება მოხდება მშვიდობის საერთაშორისო დღის (2025 წლის 21 სექტემბერი) აღნიშვნის ფარგლებში.

**კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში საკონტაქტო პირია – სოფიო ლეთოდიანი – 598 60 50 20“.**

# ნახშირორჟანგის დონემ მაღალ ნიშნულს მიაღწია!

**დედამიწის ატმოსფერო ამჟამად უფრო მეტ ნახშირორჟანგს ($CO_2$) შეიცავს, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ დროს. სკრიპსის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერების ცნობით, პირველად ისტორიაში, $CO_2$-ის ყოველთვიურმა საშუალო დონემ მილიონზე 430 ნაწილს (ppm) გადააჭარბა.**

2025 წლის მაისის საშუალო მაჩვენებელმა 430.2 ppm-ს მიაღწია – ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 67 წლის წინ ზუსტი გაზომვების დაწყებიდან, იტყობინება Daily Mail.

რაც უფრო მეტი $CO_2$-ია ატმოსფეროში, მით უფრო სწრაფია გლობალური დათბობის ტემპი, რამაც საბოლოოდ შეიძლება დედამიწის ზედაპირი ადამიანის სიცოცხლისთვის ზედმეტად ცხელი გახადოს. მნიშვნელოვნად მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, $CO_2$-მა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მთელი რიგი პრობლემები. საგანგაშო ეფექტები მოიცავს კოგნიტურ დაქვეითებას, ძილიანობას, გულისრევას და, უკიდურეს შემთხვევაში, სიკვდილსაც კი.

**„კიდევ ერთი წელი, კიდევ ერთი რეკორდი. სამწუხაროა“**, – განაცხადა სკრიპსის ინსტიტუტის $CO_2$ პროგრამის დირექტორმა.

სხვა სათბურის გაზების მსგავსად, $CO_2$ საბნის მსგავსად მოქმედებს, იჭერს სითბოს და ათბობს ქვედა ატმოსფეროს. ეს ცვლის ამინდის პირობებს და ხელს უწყობს ექსტრემალურ მოვლენებს, როგორიცაა სიცხის ტალღები, გვალვები, ხანძრები, ძლიერი წვიმები და წყალდიდობები.




*მილოცავთ!*

# ვაჟა ბენბაშვილი – 70



**ჩვენს საყვარელ მეგობარს, გამორჩეულ პიროვნებას, დამსახურებულ კაცს, მრავალშვილიანი ოჯახის პატრონს ვაჟა ვალერიანის ძე ბენბაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს!**

**მიუხედავად დიდი ტრაგედიისა (შვილის გარდაცვალების გამო), ბატონი ვაჟა არ დაცემულა და არ დაუკარგავს რწმენა, მხნეობა, ვაჟკაცობა და მეგობრების მიმართ სიყვარული.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ჭირთათმენას, დიდხანს სიცოცხლეს.**

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ ფორჩხუა, მერაბ და გოჩა გურულები, მიხეილ სალაძე, თემურ მურღულია, ნოდარ ბოლოთაშვილი, შოთა ასათიანი, თემურ კუჭუხიძე.

# დაფუძნდა თბილისის საოპერო ფესტივალი



**კულტურის სამინისტრომ თბილისის საოპერო ფესტივალი დააფუძნა. უწყებასა და ,“ჯორჯიან ოპერა ენდ არტს” შორის მემორანდუმი გაფორმდა.**

ფესტივალს უხელმძღვანელებს მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერალი, ქართველი ბანი **გიორგი ანდღულაძე.** ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში მოიწვევენ საოპერო ხელოვანებს. ჩატარდება მასტერკლასები, ქართველი სტუდენტებისთვის იქნება გაცვლითი პროგრამები.




# ფილმი ილია ზდანევიჩს ეძღვნება

**„მარადიულნი: ყველაფრიზმი“** – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება ბათუმის შემდეგ დედაქალაქში გაიმართა.

პოეტის, მხატვრის, მკვლევრის ილია ზდანევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ფილმის ავტორი, ჟურნალისტი და წამყვანი ბერდია კუტუბიძეა. მოთხრობილია ილია ზდანევიჩის ცხოვრებიდან ისეთი ფრაგმენტების შესახებ, რომელთა შესახებ ინფორმაცია მანამდე ცნობილი არ იყო.

ფილმში აღწერილია, რამდენად დიდი როლი ითამაშა ზდანევიჩმა ფიროსმანის შემოქმედების პოპულარიზაციაში. ხელოვანი 20-იან წლებში პარიზში მოღვაწეობდა და კოკო შანელთან თანამშრომლობდა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 13 ივნისს**